



ლიტერატურული მეხსეთი

№10 (262)
ოქტომბერი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

ზოგი რაა

I

რაკი ჩვენს ღირსეულ ლიტერატურაზე და ეხლანდელს მწერლობაზე დაინყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქოს რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვინუნებთ კიდევ?... ვიცოცხლე, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხრად ამიგდებს, მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლად მისმინე. მე წინათვე ვიცოცხლე, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანადრება, აიტკიცებ და შენსუნებები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კომპტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს, რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმაო, თუ დაო, რომ: თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა -ო ჩვენის პოეტის არ იყოს.



პაქა ცანყულა ეს ქყუანა.
ცანყულ უყოა.
მოუცი ძალი დაჟოლოძილსა ყლაჟ
ალღოძილსა.
სასლოჟანი ვანუასლუ ნაოსლო
ლღო უყოა.
მაჰაჰაჰო სული. ეული
მაჰაჰაჰო ჭვილსა.

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“...

ბრ. (რბპლიანი)

II

აიღებს ბეჩაფი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუმრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიად, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო საღვინებელი და სანაღვლებელი? დიდაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ლა სადმე? როგორ თუ ვართ-ლაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მწვრად არ გადაგიტყვევია, ვიცოცხლე, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცოცხლე, რა ტკივილიც ამოგაკენებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღაში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაუკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიან? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი - ყველანი არიან, და ქართველები კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა - თავადი, გლეხსა - ორივე, ნუთუ ესენი ქართველი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილი? თავადის აზრი - სათავადოა, აზნაურისა - საზნაურო, გლეხის - საგლეხო, ვაჭრისა - სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი - სათავადოა, აზნაურისა - საზნაურო, ორივესი - გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური - თავადსა, ორივენი - გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ

ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამაში რა არის საყოველთაო. ეგ თითოთითოდ, ერთის განყვეტილი ჯაჭვის რგოლებით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დაგვორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!


თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწეოდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შევი

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბებს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხაროს ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრითება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაღაცნადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურდების“, - ამ გუბებს რომ თვალთა და აუჩქარებლად დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკენესებ და იტყვი: „ვართ-ლაო!“

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადგილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვიდამ გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი - სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ



ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვიდამ მართო ღიპ-გადმოგდებული ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმე, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ნედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დიარღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძობითი სახელი-ლა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მიძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით - თუ არა-ფერს აკეთებს - თავის მოძმეს მაინც აბეზლებს ღმერთთანაც და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძობითად მიღებული, განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო, მართალია, მაგრამ არა იგერე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსული მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსული ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნულს კი ეტყვის, მარსული ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსულია და გარეობაში - ფრანციელი. უცხოეთის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი თქმა - ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთეაო - ჩემი ხალხის სიკეთეაო; რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დულსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვივით, და თუ გინდაო, ყოველის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოთაგან - ჩემის ხალხის წყენააო, და ჩემი ხალხის წყენა - ჩემი საკუთარი წყენააო.

ჩვენში? ეჰ, რაღა ვითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მასლობლისათვის და არც უცხოთისთვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში - ყველა, საცა თითოეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისთვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ - შვიათი!

ილია ჭავჭავაძე, თბ. 1984, გვ.538-542

კასაბერ ჯაყელი

გაგრძელება. დასაწყ. იხ. N6-9

სამცხის სპასალარი ნორგიალეს ეკლესიის სამრეკლოდან მიმართავდა შავშეთის მკვიდრთ:

„ღვთის დახმარებით შამელთაგან განთავისუფლებულ ნორგიალეს მკვიდრნი, გიბრძანებთ, რჩეულიანებს, შემოენყოთ და ათასისთავს დაემორჩილოთ, ეხლავე უნდა გავემართოთ ოპიზისაკენ, გარმიანისა და შამის თურქებს დავასწროთ გამაგრება და ავილოთ ოპიზა“.

– შენ ის ბოცო ჯაყელი არ ხარ, რომელმაც ორბელთა აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა შვიდი წლის წინ? – უცერად შეჰყვირა მღვდელმა სალუზაყანმა და საკუთარ ხალხს გადმოხედა.

– მე ის ბოცო ჯაყელი ვარ, რომელიც საბრალლო დემეტრე II ბაგრატიონის გადარჩენასა და გამოყვებას ელტვოდა,



იდგა, მის წინ მოჯარული ხალხი კი, სამცხელის შეუვალობისაგან გაოგნებული, უკან ილტვოდა.

რჩეულიანნიც ასევე ვაჟკაცურად იბრძოდნენ. აზნაური ფოცხოველი ასევე ვაჟკაცურად შეება თურქთა მრავალრიცხოვან რაზს, აზნაური არსიანელი კი იქით მიუხდა მწყობრად მდგარ შამელთა გროვას, ასევე აქტიურობდნენ სხვანიც. ქირქიმ არტანელმა თურქთა ბელადს ენა ამოგლიჯა და შამელებს მიუგდო.

აბიათარი რჩეულიანთა მეორე ჯგუფის შემოსვლას აწესრიგებდა ოპიზის გალავანში. რჩეულ მესხთა შორის ნორგიალეს მკვიდრნიც ჩაეყენებინა და მათ უკან ჩამდგარიყო, ნორგიალელებს გულს უმაგრებდა, – „არ ჩაფახდეთო!“ და ჰარპიასავით თავს დასტრიალებდა, – ზოგს ძალით მიაგდებდა მტერზე და დასჭყვივოდა – „გაქანდით ბიჭებო და ურჯულოებს შეუვარდითო!“

ნორგიალელ უკუქცეულებს შუბს აძგერებდა ქირქიმ არტანელი და თან იცინოდა: – „თქვენი ნაზრახი სიცოცხლე,

ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას ბრძოლი (ჯაყელთა 1000 წელი)

მღვდელო!

– ჰოდა, თუ ეგრება, ჩამოდი სამრეკლოდან, ერისთავო! – ანხლად იყვირა სიმკაცრით განთქმულმა სალუზაყანმა და მარჯვენა ბოცოსკენ გაიშვირა, ხოლო მარცხენით შამელთაგან წართმეულ შუბს დაუწყო მომარჯვება.

აბიათარის რაზმელებმა მღვდელი უცებ განაიარაღეს და ხელახლა დაბორკეს.

სამცხის სპასალარის ბრძანების შეუსრულებლობისათვის, სიკვდილი ურჩებს! – შეჰყვირა აზნაურმა ფოცხოველმა და ნორგიალელებს თვალი მოავლო.

– ხომ ხართ, ლომები? ხომ მოდიხართ ოპიზისაკენ?! – დაჰყვირა თავზე შებრკოლებულ სოფლელებს აზნაურმა არსიანელმა.

– ჰო, მოვდივართ, იარაღი მოგვეცი, იარაღი! – ამოღერღეს ნორგიალეს მკვიდრთ და ბოცო ჯაყელს ახედეს.

ოპიზისაკენ მიჰქროდნენ რჩეულიანნი. როდესაც მალემსრბოლი გამოიჭრა ტყის დიდი მასივიდან და... – „სამცხის სპასალარი რომელიაო?“ – იკითხა.

– მე ვარ სამცხის სპასალარი! – იცრუა აბიათარ კოპაძემ და უცხო თავისთან მიიხმო.

– გუზან ტაოსკარელისაგან ვარ, ოპიზასთან ვდგევართ და გელით, შუადღეს უნდა შევარდეთ ოპიზაში.

– ჩვენც მზად ვართ! – მხედრულად უპასუხა აბიათარ კოპაძემ და უცხო უკანვე გააბრუნა გუზან ტაოსკარელთან.

შამელი თურქების შემოსევისაგან, უცხო კირთებით, უვნებლად გადარჩენილი, გუზან ტაოსკარელი ტყეს შეეფარა. რადგანაც იგი თბილისელი იყო და სამეფო კარის მიერ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაენიშნათ შავშეთის ერისთავად, გუზანმა არც მთლად კარგად იცოდა შავშეთის გზები, ხეობები, რაც აუცილებელი იყო მტრის მოსაგერიებლად.

– მე არა ვარ სამხედრო, – იმეორებდა გუზან ტაოსკარელი, რომლის შვილიც გახლდათ ტფილისელი ამირა – ქურდისა აბულასანისა.

გუზანი უფრო პოლიტიკოსი იყო, ვიდრე სამხედრო, მაშინ, როცა ბოცო უფრო სამხედრო იყო, ვიდრე პოლიტიკოსი. ამიტომაც, ეს ორი ახალგაზრდა კაცი, ერთმანეთს თავიდანვე ნაკლებად უგებდნენ, მაგრამ ერთად გატარებული ბავშვობა და სიყმაწვილის წლები მათ ურთიერთ მეგობრობას განაპირობებდა.

– ბოცო მოვა, უკვე შავშეთისა

და არსიანის ქედი გადმოუვლია, რჩეულიანთ მოუძღვის, გიჟი აბიათარი ყავს, მაგათ ვინ დაუდგებათ წინ, ისე გასცელავენ ამ თურქებს, როგორც ნამგალი ქერსა, – ამბობდა გუზანი და ტყეში ელოდა საკუთარ მალემსრბოლს შეშფოთებული.

ამ დროს გამოჩნდა ერთი კაცი, რომელიც სწრაფად მიიჭრა გუზანთან და უთხრა:

– შუადღისას შეუტითოთ! – მიბრძანა სამცხის სპასალარმა.

– ეხლა სად არიანო, – თვალები გაუბრწყინდა გუზანს.

– მონადირული ნაბიჯით, ტყე-ტყე მოდიან, დევის ქვასთან იქნებიან, ალბათ – თქვა გუზანის კაცმა.

– სწრაფად მოდიან, მონადირულად, ფეხაკრეფით, არა მწყობრად, ტყე-ტყე მოუყვებიან, ახლოს არიან ოპიზასთან. აი, გამოჩნდა დევის ქვაც, მაგრამ ბოცოს გუნება მაინც გაფუჭებული აქვს.

– ეს რა გაბედა, მღვდელმა! – თავის თავს ეკითხება ბოცო და თვითონვე პასუხობს: – მოლაღატე ხარო, დამაბრალა.

– ჰოდა, ვერ გავიგე, როგორ შეიძლება დემნას მომხრეს მოლაღატეობა დააბრალო, ხოლო გიორგი მეფის მომხრეს – მამულშიველი უწოდო?

– ვერ გამიგია ჩემი ხალხისა, აბიათარო! – ეხლა უკვე ხმამაღლა ჩაილაპარაკა ბოცომ.

მუდამ მდუმარე აბიათარ კოპაძე შემოტრიალდა, თვალეში ჩაამტერდა მისსავე აღზრდილ სამცხის სპასალარს და მუნჯურად უთხრა: – „რა ვერ გავიგაო?“

მხრების აჩრქოვით ბოცომაც რაღაც მიანიშნა აბიათარს, რომელმაც ხელები შეატყუა და ოპიზისაკენ მიუნიშნა.

– „მუდამ ასეა, აბიათარი, მტერზე დაგეშობი. ჩვენს მამულს მხოლოდ ამგვარი ათასისთავები სჭირდება!“ – გაიფიქრა ბოცომ და ის ამბავი გაახსენდა თუ როგორ შეხვდა ბოლოს უფლისწულ დემნას.

1179 წელი იდგა. მტრისაგან აღყაშმე-მორტყმული დემნა ლორეს ციხის აღმოსავლეთ ქონგურებს ათვალეიერებდა, როდესაც მის საპირისპიროდ ბოცო ჯაყელი გამოჩნდა. დაღლილმა დემნამ თვალეში მოჭუტა, თითქოს მხედველობას უჩივისო, ისე დააკვირდა სამხედრო ბლისკინზე მომავალ მაღალ და ტანბრჭყ კაცს და როდესაც ამ კაცში ბავშვობის მეგობარი შეიცნო, გულში იმედი ჩაელვარა.

– მოგესალმებით, მეფეო აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა.....-



ნახ. ავტორისა

დაიწყო ცალ მუხლზე ჩაჩოქოლმა სამცხელმა ენის ბორძიკით.

– მორჩი, მორჩი ამ სისულელეებს, მოჭიდავეც, ნამოდექი ფეხზე, მეგობარო! – დასწვდა დემნა ბოცოს და სამცხელი გულში ჩაიხუტა.

– სირცხვილია, მეფეო, სირცხვილი! – სლუკუნებდა სამცხელი. მას ზურგს უკან ორბელთა სამხედრონი შეჰურებდნენ მკაცრად.

– ჩვენ სიკვდილამდე მეგობრებად დავჩეხებით ჩემო სამცხელო! – უმეორებდა დემნა.

ეს მოგონება თითქოს ნისლში ჩაიკარგაო, ისე გაქრა. დემნა უფლისწული ამის შემდეგ ცოცხალი არც არავის აღარ უნახავს.

შეტევა ოპიზის მიმართულებით

– „ვინძლო დავრჩენილიყავი ლორეს ციხეში, იქნებ გადაამერჩინა ჩემი მეგობარი!“ – აკვიტებულად ფიქრობდა ბოცო – სამცხის სპასალარი, რომელიც, მიუხედავად აბიათარის თხოვნისა, პირველი შეიჭრა შამელ და გარმიანელ თურქთაგან დაკავებულ ოპიზაში და ოცოდნაბუთ კაციან რაზმს მარტომდმარტო შეება. მისი მჭრელი „შვეტი“ ფხრენდა ჯერ თურქთა ფარებს, ხოლო შემდეგ მათ კიდურებს მიწაზე ჰფანტავდა. თავად თურქნიც უტევდნენ ბოცოს, მაგრამ მისი მოქნილი მგლოსანი ფარი ყველგან ასწრებდა და თავად ბოცოც უვნებლად

შამელთათვის მიმინდვიაო“. გაგულისდნენ ნორგიალელები, ერთი შეუძახეს თავს „ვაჰმეო“ და უმაღლ შამელთა გრძელ, წვრილ ბუნიკიან შუბებზე ნამოეგნენ. აი ამ დროს მიჰყვნენ მათ რჩეულიანთ რაზმის ბუმბერაზები, საბახტარ და ბერმუხა სრესელები, რომლებიც შუბებით შეუვარდნენ შამელთა მწყობრს და ბოლომდე გაიტანეს. გაიხლიჩნენ შამელნი და გარმიანელებმაც გაქცევით უშველეს თავს.

ბოცოს პირველ შეტევას აზრიც ის ჰქონდა, რომ სპასალარის გიჟური მიტევებით, რამდენიმე მეტრი უნდა მოეგოთ მესხებს ოპიზის ციხის პლაცდარმზე მანამ, სანამ მათი მთლიანი მასა ქალაქში არ შევარდებოდა. აი ეხლა რჩეულიანები უკვე ყველგან ტრიალებდნენ, – ისინი სახლის სახურავებზე, კოშკებზე, ბოსლებზე და ბაგეებზე არბოდნენ, შემდეგ ქუჩებში შეჯგუფებულ შამელებს სხვადასხვა მხრიდან ატყვებდნენ თავს და ყოველმხრივ ავიწროვებდნენ. ამგვარი ბრძოლის ხერხი აბიათარ კოპაძეს თავად ჰქონდა შესწავლული სპარსელთაგან და შემდეგ წლების მანძილზე ნერგავდა რჩეულიანთ რიგებში.

ამასობაში, ოპიზელებმაც გაითავისუფლეს თავი შამელთა ხუნდებისაგან და ხელი იარაღს ჰკიდეს. ქალაქელებიც აღიჭურვნენ და ოპიზის მთავარი მოედნისაკენ დაიძრნენ, სადაც გააფთრებული ჩეხვა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ერთის მხრივ ოპიზარებისა და, მეორეს მხრივ, რჩეულიანთა რაზმის შეტევას შამელი და გარმიანელი თურქები წინ ვერ დაუდგნენ მაშინაც კი, როდესაც მათი ყოჩი – უმარი, აზნაურ ფოცხოველს შეება. ყველა გაირინდა. ბოცო და აბიათარი შერკინებულთა გარშემო დაიარებოდნენ და უმარს უმზერდნენ.

ასეც ხდება ხოლმე ამგვარი ორთაბრძოლის დროს, – ფოცხოველი და უმარი ერთურთს მაჯებში ნააფრინდნენ და, ბოლოს, მიწაზე დაენარცხნენ. ორივე დაჭრილი იყო. სისხლი ღვარად მოედინებოდა მათი სხეულებიდან. ბოლოს უმარს სახე ტყვიისფერი გაუხდა და ფოცხოველი ბოცომ წამოაყენა ფეხზე.

გაოგნებული შამელნი რამდენიმე წამს მისჩერებოდნენ მომაკვდავ უმარს თვალს არ აცილებდნენ აბიათარს, რომელიც – დაიჩოქეთო! – მოუწოდებდა მათ.

ბოლოს იძულებულნი გახდნენ და დაიჩოქეს გადარჩენილმა შამელებმა. კისრები წინ წაიგრძელეს და მუხლებზე დაჩოქილები თავიანთ ხვედრს ელოდნენ.

– „გავიმარჯვით!“ – შესძახა ბოცო ჯაყელმა და მისკენ მომავალ გუზან ტაოსკარელს გადაეხვია.

დალი ყარაულაშვილი

არ ვიცი, რა მიწაა, ეს მიწა არ მყოფნის,
 ეს ცა კი თითქოს და ახლოა ძალიან,
 ეს გულიც საგულეს მგონი ვერ ეტევა,
 უნდა მიატოვოს ამ სულმა გალია.
 გაშალოს ფრთები და გაიჭრას ლაჟვარდში,
 ზეცაში შეერწყას ბუმბერაზ ვარსკვლავეთს,
 გაფრინდეს, ეგება, სიმშვიდე იპოვოს,
 მიწაზე ჯვარს აცვეს, ფლითეს და აწამეს.

არ ვიცი, რა მიწაა, ეს მიწა არ მყოფნის.

აღფრთხილება

ჯვარი ზიდა გოლგოთამდე,
 ეშმა ეკლის გვირგვინს ადგამს!
 ორიათას მეცხრამეტედ,
 მისი სული ზეცად აღსდგა!
 მამის სახელს ჩურჩულებდა,
 ავედრებდა უფალს მოკვდავთ,
 მიტევების ლოცვა კვნესად,
 ჯვარცმულ სხეულს რომ აღმოხდა...
 მიწა იძრა... მზე გაშავდა...
 და ღრუბლები ცრემლად იქცნენ,
 სამყარო რომ შეზანზარდა,
 ზეცის შვილი მერე იცნეს!
 სული ჩვენთვის შენოვლი,
 ცად ამალდა, მამის გვერდით,
 იბერ-კოლხთა ჯიშ-ჯილაგი,
 დღემდე მის გზა-ბილიკს ვჭედდით.
 ჯვარი ზიდა გოლგოთამდე,
 ურწმუნოა მაინც თომა?!
 ხომ შეგვპირდა, ის მეორედ,
 მახვილით და ცეცხლით მოვა!
 მიტევებით რაც ვერ წმინდა,
 სულს განმინდავს მერე ცეცხლით,
 და დემონს ვერ გადაარჩენს,
 ვერც ოქრო და ვეღარც ვერცხლი.
 ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
 შემოსძახებს მღვთას ჟამი,
 გაბრწყინდება უკვდავება!
 ქრისტე აღსდგა! აღსდგა! ამინ!

მაღალ მთაზე გამიჭერთ საფლავი,
 დაე, სულმა გადმოხედოს ქვეყანას,
 ძეგლად ციდა კლდის ნაგლეჯი მეყოფა,
 მინით დალილ სულს მივუძღვნი ზე ყანას.
 შევეყვები ცის ბილიკს და შევეძახებ,
 ზეცას ვეტყვი: „შენი შვილი მოვედი!“
 სხვა, დიდებდა არაფერი არ მიწაა,
 კლდის ლოდს მხოლოდ მიანერეთ „პოეტი!“

ჩვენი გონის აზრიანი ილუზია

ცას შესთხოვეთ სათხოვარი, ასრულდება,
 მატერია ხომ სამყაროს ნაწილია?!
 სიცოცხლე კი, ამ ყოფიდან საუფლომდე,
 ეკალ-ბარდში გასაველი მანძილია.
 კიბე-კიბე, სართულ სართულ, დროს მივეყვებით,
 დროს მივეყვებით დიდი ხნის წინ დასრულებულს,
 გრძნობით ზეცას ჩავჭურჩულებთ ლოცვით სურვილს,
 სურვილს, სადღაც შორს, წარსულში ასრულებულს.
 დიდი ხნის წინ გადაკვეთილ საზღვარს ვეძებთ,
 არ არსებულ დროში ჩაგვრჩა სადღაც გონი,
 ჩვენი სული, ნათელ სხივში მოლივლივე,
 ეს ყოფა კი, სიზმარია მონაცონი.
 ვხედავ ზეცას, რდისფრად სხეულგაბრწყინებულს,
 ქართულ სულს, უფალს ფერხით რომ უზიან,
 დამთავრებულ დროს მიათრევს კვლავ ზეცისკენ,
 ამ ყოფაში ჩვენი ყოფნის ილუზია.
 დიდი ხნის წინ გასაველი გზა გავლიეთ,
 და ვლივლივით სასულეთში ნათლით სავსე,
 გაიხსენეთ! ჯვარცმულები, უფლის ნებით,
 საუფლოში მზის სხივებმა აგვიტაცეს.
 გაიხსენეთ! დე, დამთავრდეს ეს სიზმარი,
 ცას ახედეთ, მინიშნება რამდენია,
 გაიხსენეთ! სული ცისკენ გაფრენილი,
 გონებაა შერჩენილი მატერიას.
 ეჰ, წარსული დედამიწას ვერ სცილდება,
 ვით სხეული ჯვარცმულივით მილურსმია,
 წლებად ნაქცევ წამს მიჰყვება კუს ნაბიჯით,
 ჩვენი გონის აზრიანი ილუზია!

რა დამაძინებს?!

რა დამაძინებს, როცა გზები თითქმის გავლიე
 და ახლა უთქმელ სიტყვებს ვეძებ სულის ცეცხლებით,
 მე აღარ ველი არც ავთანდილს, აღარც ტარიელს,
 ახლა ერთმანეთს ვეფერებით მე და ლექსები!

რა დამაძინებს, როცა მთვარეს მგელივით ვუმზერ
 და ფეხაკრეფით მეპარება თითქოს სიბერე,
 ახლა ვარსკვლავეთს სიტყვებს ლოცვად
 ცის თაღზე ვუნერ,
 აჩქარებული გულის ცემა ვერ გავიჩერე.
 დანყნარდი სისხლი! ფინიშის ხაზს ხომ მივალნიეთ,

გულო! ნუ ბორგავ! ამ სამყოფელში არ ხარ მარადი!
 ჩემს ბილიკებზე ნაპოვნი მზე ზევით ასნიეთ,
 მისი სინათლე მიმაცლიებს კუბოს კარამდის.

რაა სიწოცხლე?!

რაა სიწოცხლე, თუ დედამიწას არ მიანერე შენი სახელი?!
 თუ შენს ნატერფალს არ ჩაუდგა კვალში თაობა?!
 თუ შეგემინდა დემონთა შორის რწმენის გამხელის
 და ვერ გაიგე ქვეყნად მოსვლა-წასვლის რაობა?!
 რაა სიწოცხლე?! თუ ტალღებით ვერ მისწვდი ზეცას?!
 და გალაქტიკის ერთ ვარსკვლავად არ იციალე?!
 თუკი სულს ხორცი, უბრალოდ, მხოლოდ სამოსად ეცვა
 და ამ ყოფაში, ბეცად, მცდარი გზებით იარე!
 რაა სიწოცხლე, თუკი ყველა ნატერა დამინდა?!
 ცის სამსახურში თუ არ აწრთე სული ლოცვებზე?!
 რაა სიწოცხლე, ქარაფზე თუ ფეხი დაგიცდა
 და დემონთა გზებზე დაასრულე შენი ოცნება?!
 რაა სიწოცხლე, თუ წერტილად მაინც არ ჩანდი,
 თუკი სამყაროს ვერ გაუგე, თუკი ვერ მიხვდი
 რომ არ ამოვა მზე თუ იგი სადღაც არ ჩადის...
 რაა სიწოცხლე, სიცოცხლისთვის ვალს თუ ვერ იხდი?!
 რაა სიწოცხლე, თუ აბრალებ ბედის კამათელს
 შენს უმეცრებას, დახობავ და დაგცინის ყოფა?!
 თუ შენს მცდარ ნაბიჯს ვერაფერი ვეღარ ამართლებს
 და თუ ტალახში გადაეშვი... დამთავრდა! ჰოპლა!
 რაა სიწოცხლე?!.....



ნახ. თამარ ლომიძისა

ჰასუხი გოჩა ხარანაყოს

(ხუთ ნუთში დაწერილი ლექსი)

აბა, რა ვიცი, რატომ ზიან კაცები მატყლთან,
 ან საშოვარზე რად დადიან სადღაც ქალები,
 აბა, რა ვიცი, ერი სამგლე გოჭივით ატყდა,
 ბედის ანაბრად დაუდგია სოფელს ყანები.
 აბა, რა ვიცი, ულაყები რად იქცნენ ვირად,
 ანდა ჩვენს ცაზე რად იცვალეს ღრუბლებმა ფერი,
 ცოლის მრუმობა ჩვენს „ვაჟკაცებს“ არ უღირთ ჩირად
 და არხეინად ჩაუწყვიათ ჯიბეში ხელი.
 აბა, რა ვიცი, რად ვერ სცნობენ ძაღლები პატრონს,
 ანდა ქარქაშში რად ჩაჟანგდა წინაპრის ხმალი,
 თავში რამსები არევიათ გლეხსა და ბატონს,
 ან რად იმაღლებს ხმას კაცის წინ ცოლი თუ ქალი?!
 ალბათ, იმიტომ, რომ საპალნე აპკიდეს დიაცს,
 მანდილი მოხსნეს დაამსგავსეს ცოლები აქლემს,
 ოჯახის საჭე დედაკაცის ხელშია, დიას!
 ვითომ კაცი კი, თოხის ნაცვლად მარაოს აქნევს.
 ყველა მდინარე, ცრემლად იქცა, მოსდევს კალაპოტს,
 სულში დაჭრილა საქართველო, სისხლი სდის ნახმლევეს,
 ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული ძმა ძმას ღალატობს
 და შოუბში კაცი ურცხვად ქალობას ამხელს.
 უკვე რამდენჯერ, ცას შეეჩვიე არწივთა ბედი,
 უფალს შეეთხოვე, გამრთელება დალენილ ფრთათა,
 აბა, რა ვიცი, მოგვიდრიკეს ამაყი ქედი,
 ჩვენი სამშობლო დაიფაროს ღვთისმშობლის კალთამ.

შეჩერდი! ხედავ, თენდება უკვე.....

შეჩერდი! ხედავ, თენდება უკვე,
 ერთად გავლენით ღამის კალო და....
 გრძნობებით გათვრე, გასვი ბადაგი,
 ჩემი თვალების ცრემლთა წყაროდან.
 არა! არ გაჰყვე უცხო ბილიკებს,
 უერთმანეთოდ ყველგან ჩიხია,
 შეჩერდი! მგონი თენდება უკვე,
 ზეცამ სამოსი შემოიხია!
 სხივთა კონებით აალებული,
 ეს ცაც ვერ მალავს რაღაც კაეშანს,
 აგორებული ქარიშხალივით,

ცეცხლი მიწიდან ცაში აეშვა.
 ვიცი, სიბნელე თვალს რომ მილულავს,
 ვერ ეგებები ვერც ერთ განთიადს,
 მზის სხივზე ქრება შენი ზმანება
 და სადღაც მისდევ ღამის ნათლიას.
 ნუხელ ნაკვერჩხალს სულს ვუბერავდით,
 გრძნობების ცეცხლით ვლენეთ კალო და...
 ბაგეებს ვასვით ტკბილი ბადაგი,
 ჩვენი თვალების ცრემლთა წყაროდან.
 მზემ სხივთა კონით ზეცა გამოლტა,
 ო! ღმერთო ჩემო! რა წამებია,
 სისხლისფერია ეს განთიადიც,
 იესოსავით ნაწამებია!
 შეჩერდი! უკუნს ისევ მიჰყვები?
 სასულეთის და ღამის რაინდო!
 ჩვენი შეხვედრის ქრება მირაჟი,
 შეჩერდი! დარჩი! იქნებ დამინდო!
 და თუ ვერ რჩები, თან წამიყვანე,
 ერთად მოვისხათ ღამის მანტია!
 ერთად ვიქროლოთ გალაქტიკებში,
 სადაც ყველა მზე ჩვენთვის ანთია!

მედვას

კოლხეთის ასულო, დაგნამეს ღალატი,
 ღალატი მამის და ღალატი ქვეყნისა,
 არადა, მისიას ამაყად მალავდი,
 შენ იყავ რჩეული უფლის და ზეცისა!
 იყავი მთესველი ცოდნის და სიბრძნისა,
 სამყაროს მოჰფინე შვება და წამალი,
 არ იყავ შენ მკვლეელი არც ერთი შვილისა,
 არ იყავ გამთხრელი, შენ, შილთა სამარის!
 ტანჯვა და წამება რჩეულთა ხვედრია,
 თავად უფალიც ხომ, უნდობლად აწამეს,
 შეუნდე, უმეცრებს, სიბეცე, მედეა,
 მზის ასულს, შვილების მკვლელობა დაგნამეს!
 დღესაც კი, ვერ წვდება მოკვდავთა გონება,
 რა როლს ასრულებდი კოლხეთის ასული,
 საწმისი?! ეს არის სამყაროს ქონება,
 სიბრძნეა! მიწიდან კვლავ ცამდე ასული!
 დღესაც კი ვერ წვდება, გონება მოკვდავთა,
 რისთვის მოგავლინა მიწაზე განგებამ,
 შენი მოვლინება ქარიშხალს მოჰგავდა,
 ძნელია იმ დიდი ტკივილის ტარება
 რაც ზიდე... და უფლის სურვილიც ასრულდა,
 ცოდნა მოფინა სიბნელეს სინათლედ,
 მსურს გზა გავიკვირო შენამდე წარსულთან,
 დღეს შენი დაცვა მხვდა ზეციდან ნილად მე!
 დღეს შენი მცველი ვარ! გაიგონ ერებმა!
 ცოდნის და სინათლის, გიბოძეს მწყემსობა!
 მედეას სახელის აუგად სხენება,
 ეკლად და ტკივილად ცას გულში ესობა!
 კოლხეთის ასულო! დაგნამეს ღალატი,
 ღალატი მამის და ღალატი მიწისა,
 არადა შენს მიზანს ამაყად მალავდი,
 იყავი რჩეული უფლის და იმ ცისა!

ჩემს გვარსა და გენს!

(ჩემი დიდი პაპის დათიკელას შთამომავლებს)

კაკლის ძირში დათიკელას ძვლები მღერის,
 იმქვეყნიურ საქართველოს უღიმის,
 მუხად ჩადგა ფესვმაგარი ჩემი გენი,
 ვენას ბერავს ჩვენი სისხლის დუღილი.
 მამაჩემის სიმგამნყდარი ფანდური სდუმს,
 სულში ისევ სევდამ დაისადგურა,
 ვუმზერ ჯილაგს დათიკელას სისხლის ყვირს,
 რაჭველებმა მოუქციეს კახურად.
 ილო ძიამ მამის სახე გამასხენა,
 კობა ძია მხრებში ოდნავ მოხრილა,
 ჩემი ვაჟი მამაჩემის გვარს ატარებს,
 გუშინ ბავშვი, უკვე კაცად მოყრილა.
 რაჭის მთებში ამოყრილი ჩვენი ყლორტი,
 გადმორგულა, გაიხარა კახეთში,
 წინაპართა სული მღერის სევდიანად,
 ვასილის და ზაქროს გენის სახეში.
 ძველ ქვევრს მათი ხელის სითბო ისევ შერჩა,
 ტანზე ძმების ძველი დამაბ ატყვივა,
 ღმერთო! როგორ მენატრება მამაჩემი,
 რა ვუმელო მონატრების ნატყვიარს?!
 სუფრას უზის წინაპართა ჯიშ-ჯილაგი
 და ლოცავენ იმერსა და ამიერს,
 იმ ქვეყნიდან წასულების ბანი ისმის,
 უერთდება სუფრის მრავალჟამიერს.
 თავშეყრილა დათიკელას ჯიშ-ჯილაგი,
 რაჭის მთებმა მირონი რომ ასხურა,
 სიმღერებში ნამოზია ჩვენი გენი,
 აქ თელავში მოუქციეს კახურად.
 კახურ ნერგზე დამყნობილა ჩვენი გვარი,
 მუხად ჩადგა ფესვმაგარი ჯილაგი,
 იმ ზეცაში დღესაც ახსოვთ, ჭიშკრის მცველებს,
 ის ბრძოლები, ომგადავლილ შირაქის...
 მათი ხმალი სამშობლოსთვის აღესილი
 და ოსმანთა მოკვეთილი თავები,
 ჩემო გენო! წინაპრების კვალს მიჰყევი,
 დაიცავი საქართველოს კარები!
 როგორ ძლიერ მენატრები მამაჩემო,
 სიზმრად მითხარ, შენი გულის წუხილი...
 კაკლის ძირში დათიკელას ძვლები მღერის,
 იმქვეყნიურ საქართველოს უღიმის....

ივანე ავირხანაშვილი

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს სოფელ გურამიანთკარში ანუ საგურამოში, კერძოდ, მის განაპირა, ზემო უბანში, რომელსაც გორისუბანს უწოდებდნენ. მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსა. — წერს დავითი. გორისუბანი დღეს ნასოფლარს წარმოადგენს. ეს არის ადგილი, რომელიც მდებარეობს ილია ჭავჭავაძის მუზეუმსა და ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალ გზას შორის. აქ, ალაგალაგ, ჯერ კიდევ შეინიშნება ძველ ნაგებობათა საძირკვლები. გორისუბნის მდებარეობაზე პირველად პოეტმა გიორგი ლეონიძემ მოუთხა თავის შესანიშნავ გამოკვლევებში „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“.

მისი წინაპრები აქ მე-15 სა-



„ცოდნა-მცირობას“ და „უცებობას“. იმ დროს მართლაც არ იყო პირობები სრულყოფილი სწავლა-აღზრდის მისაღებად, მაგრამ „დავითიანი“ ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გურამიშვილს კარგი განათლება მიუღია სწორედ სიტყუბეში, საქართველოში ცხოვრების დროს.

როგორც გიორგი ლეონიძე ვარაუდობდა, დავითს 16 წლისას უნდა შეერთო ცოლი. „დავითიანი“ მართლაც არის ერთიანი ადგილი, რომლებშიც ავტორი მიანიშნებს თავის ადრეულ ქორწინებაზე. კერძოდ, ეს არის „ქაცვია მწყემსის“ 339-ე სტროფი და „დავითიანის“ მესამე წიგნის პირველი ლექსის „გოდება დავითისა“ მე-14 სტროფი. მას ცოლად მოუყვანია გარაყანის ასული სოფელ ლამისყანადან.

სწორედ ლამისყანაში მოხდა ის ტრაგიკული ამბავი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა პოეტის ცხოვრება.

როგორც თვითონვე მოგვითხრობს, ქვეყნის ბედუკუღმართობის გამო, საარაგოდან ქსნის ხეობაში, ლამისყანას იყო გახიზნული ცოლუფრებში. მკათათვე იყო, პურუფს იღებდნენ. დავითი მოყვრის მუსიკას ადგა თავს. დღითი ორ კაცთან ერთად

აილო და სამხრეთ კავკასიაში დაუბრკოლებლად შემოვიდა.

პეტრემ მანიფესტით მიმართა ამიერკავკასიის ხალხებს. რუსეთის იმპერატორმა ვახტანგ მეექვსეს მოუწოდა თავისი ლაშქრით შეჭრილიყო ირანის საზღვრებში, განჯის მიმართულებით ნასულიყო და სადმე დარუბანდას და ბაქოს შორის შეერთებოდა რუსის ჯარს.

ვახტანგი 40-ათასიანი ლაშქრით მართლაც დაიძრა დასახული მიმართულებით, განჯას დაბნაკდა და დაელოდა პეტრეს მორგე წინადადებას, მაგრამ რუსეთის იმპერატორი მოულოდნელად უკან გაბრუნდა, ასტრახანისკენ დაიხია და ქართველები სპარსელებს შეატოვა. ვახტანგი თბილისს დაბრუნდა, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ სპარსელები და ოსმალები შურს იძიებდნენ. სპარსეთის შაჰმა ვახტანგს მეფობა ჩამოართვა და კახეთის მეფეს, კონსტანტინეს უწყალობა, რომელმაც ორჯერ ილაშქრა თბილისზე. ცოტა ხანში, თურქების მხარდაჭერით, ვახტანგის ადგილი მისმა ძმამ იესემ დაიჭირა. 1724 წლის 15 ივლისს, პეტრესთან შეთანხმებით, ვახტანგი თავისი 1200-კაციანი ამალით მოსკოვს გაემგზავრა. როგორც ნიკო ბერძენიშვილი

ასტრახანში დასახლდა. გარდაიცვალა 1737 წელს და იქვე, ლეთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს.

მეფის გარდაცვალებამ სულ დააბნია ისედაც დაბნეული ემიგრანტები. ქართველებმა არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. სამშობლოში დაბრუნება არ შეეძლოთ, რუსეთში ემიგრანტის სტატუსით დარჩენაც არ იყო სასარბილო, ვინაიდან შემოსავალი არ ჰქონდათ და რუსეთის მთავრობამაც შეუწყვიტა ჯამაგირის მიცემა. მათ ნაუწყენეს პირობა, თუ ფიცით მიიღებდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას, მამულსაც მისცემდნენ და სამსახურსაც, თუ არა, რუსეთის საზღვრების დატოვება მოუწევდათ. ქართველთა უმრავლესობამ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. მათ შორის იყო დავით გურამიშვილიც.

დავითმა უკრაინაში, კერძოდ, მიგრირება და ზუბოვკაში მიიღო მამულები ოცდაათამდე ყმა-გლეხის ოჯახითურთ. სამსახურად კი შევიდა ჰუსართა პოლკში, რომელიც 1738 წელს შეიქმნა ვახტანგ მეექვსის ამაღლის წვერებისაგან. თავიდან დანაყოფში ასამდე კაცი შედიოდა, ორ წელსაში მათი რიცხვი ორასამდე გაიზარდა, პრუსიის ომისთვის კი უკვე ხუთასამდე ჰუსარს ითვლიდა.

გენიალური პოეტი, მამაცი მეომარი, ყიბღღო აჯამიანი

კიდევ ერთხელ დავით გურამიშვილზე

უკუნის დასაწყისში მესხეთიდან გადმოსახლებულან. „მცხეთის გუჯარის“ ერთ-ერთ ქორნიკში მოხსენიებულია თავადი გურამ ზევედგინიძე, რომელსაც მეფის წინაშე დამსახურებისათვის მიუღია ქართლ-კახეთის საზღვარზე, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მინები თემის ხეობის ჩათვლით.

მთელ ამ ტერიტორიას, რომელშიც თხოთმე-ტამდე სოფელი შედიოდა, ეწოდა საგურამო ანუ გურამის (ზევედგინიძის) სამფლობელო. შემდგომ საუკუნეებში ტოპონიმის არაალი დავიწროვდა და სახელწოდება საგურამო ოფიციალურად შერჩა მხოლოდ იმ სოფელს, სადაც ცხოვრობდნენ გურამ ზევედგინიძის შთამომავლები — გურამიშვილები, თუმცა, არაოფიციალურად, ხალხში, თემის ხეობას დღემდე საგურამოს უწოდებენ.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, იმ დროს, როცა დავით გურამიშვილი დაიბადა, საგურამო კახეთის საზღვრებში შედიოდა, გურამიშვილებიც კახელ თავადებთან იხსენიებოდნენ და კახეთის სამეფო კარზე საპატიო თანამდებობები ეჭირათ.

დავითის მამას — გიორგი შიშის ძე გურამიშვილს თავისი ვაჟი, წესისამებრ, გლეხის ოჯახში გაუძიძავებია. გლეხი იმდენად ღარიბი ყოფილა, რომ პოეტს სიბერემდე გაჰყოლია გადატანილი გასაჭირი და შიმშილი. ძიძა იმით ახსოვდა, რომ მან „მეგრევერ ატირის მუცლითა მშვირთა“.

თუმცა ხელმოკლეობა და შიმშილი მარტო გლეხებს კი არა, თავადაზნაურობასაც აწუხებდა, რადგან ქართლ-კახეთში მიწიწვარებდა უმძიმესი კრიზისი, რომელიც არასახარბილო პოლიტიკური და სოციალური ვითარებით იყო გამოწვეული. გრძელდებოდა პოლიტიკურად მიხსნატრაციული დაქუცმაცების პროცესი. ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ მთავრები და ერისთავები, რომლებიც თავიანთი სამფლობელოებში უგვირგვინო მეფეებად მოჩანდნენ. ქვეყანას ასუსტებდა ოსმალია და ირანის შაჰთა აგრესიული პოლიტიკა. ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის შაჰის ვასალებად ითვლებოდნენ, დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება არ ჰქონდათ.

ქართლ-კახეთში სულ უფრო ხშირდებოდა დელეტენელი ყაჩაღების თარეში, რომელსაც ხალხი „ლეკიანობას“ უწოდებდა. მთელია შეიარაღებული რაზმები ანოკებდნენ და ძარცვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს, ხალხის სარჩო-საბადებელს. ქართველებს ყაჩაღების ავაზაკურ თავდასხმებთან გამკლავება უჭირდათ, რადგან ერთიანობა არ ჰქონდათ, ერთმანეთთან შუღლითა და შინაომებით იყვნენ დაკავებული.

ამ დროს ლეკებს ბელადობდა სურმახანი ანუ „სულხანი“, როგორც ქართველები ეძახდნენ. მთიულეთის თარეში არაალი საქმად ვრცელი იყო, ქართლ-კახეთის სოფელ-ქალაქებიდან — განჯას, ბარდას და მორგანს უწყევდა. ასე რომ, „ლეკიანობა“, მეტნაკლებად, მთელი ამიერკავკასიის პრობლემა იყო. ის ერთნაირად აუღლებდა ამ რეგიონის მოსახლეობას. პროცესში „მეცხურების“ როლი ეკუთვნოდათ სპარსეთსა და თურქეთს, რომლებიც ხელს უწყობდნენ „ლეკიანობას“, როგორც პროცესს. მათთვის ეს იყო კავკასიაში ბატონობის განმტკიცების საშუალება (ვ.დონდუ).

მოგვიანებით დავით გურამიშვილი დანერს: თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, დღლივი, დიდი, ქისტი, სრულად ქართლის მტერი იყვნენ, ყველამ ნაპრა თვითი ქიშტი მერმე შინათ აიშლენენ, ძმამ მოუღვა ძმასა ვისტი; თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხმალი!

დღე არ გავიდოდა, რომ ლეკის თარეშთან ბრძოლა არ ჰქონოდათ ქართველებს. გლეხები საშუალოდ ვეღარ იცლიდნენ. თუ რამე მოჰყავდათ, იმასაც მტერი წვავდა და ანადგურებდა. ქართლ-კახეთი შიმშილობამ მოიცვა. ამას ისიც დაერთო, რომ ტახტს ჩამოაშორეს რეფორმატორი მეფე ვახტანგ VI და, ბუნებრივად, ჩამიშალა მის მიერ ნამოწყებული კულტურული გარდაქმნები.

დავითი ხშირად უჩივის „სწავლის სიმოკლეს“,



წავიდა ყანაში. გზად წყაროზე ჩავიდა პირის გასაგრილებლად. თოფ-იარაღი აიხსნა და მუხის ძირს მიანყო. თურმე, ჭალაში, თხოთმეტი ლეკი ყოფილიყო ჩასაფრებული. ისარგებლეს შემთხვევით, თავს დაესხნენ უიარაღო კაცს, მუბოჭეს და გაიტაცეს. გადოყვანეს ქსანზე, იქიდან, საგურამოდ, ილტოზის დიორდან მჭადიჯვრის ველზე ჩავიდნენ, გაიარეს ჭაბურტის მთა, დავათის მიდამოები, ერწო, იქიდან ავიდნენ თუმეთში და გადავიდნენ დაღესტანში, ანდის ოლქში, კერძოდ, სოფელ ისოქოლოში. ამ უმძიმეს „ტრაგედის“ გურამიშვილი მოგვანებით დაუწინასარი ექსპრესიულობით აღწერს:

შემიარეს, ნამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია, გარდომბატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა კიდენია; მუღამად თვალთა ნაკადი მდულარე ცრემლი მდენია, მაჭამეს დუბა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის ნენია.

ლეკთაგან დავითის დატყვევება 1728 წელს უნდა მომხდარიყო. ოსოქოლოს მიყვანილი გურამიშვილი ორმოში ჩააშენებდნენ. ამომიღებდნენ, უდიერად ეყირობოდნენ, ნორმალურ სამოსსაც არ აძლევდნენ, რომ სიცივისაგან თავი დაეცვა. გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს, უკან დააბრუნეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. დავითის გამოუსყიდველი რომ არ გამოუჩნდა, ლეკებმა მისი გაყიდვა გადაწყვიტეს. რა ხდებოდა საქართველოში დავითის დატყვევებაზე და დატყვევების შემდეგ?

ვახტანგ მეექვსემ, ევროპასთან პოლიტიკურ კავშირს რომ ვერ მიღწია, გადაწყვიტა ხსნა რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებაში ეყენა. ეს დიდი რისკი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. სპარსეთი და ოსმალეთი მას აღარ ენდობოდნენ.

1722 წლის აგვისტოში რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა დაიწყო კასპიის ნაპირების ოკუპაცია. რუსის ჯარმა დარუბანი უბრძოლველად

წერდა, ვახტანგ მეექვსეს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთისგან სამხედრო დახმარებას მიიღებდა და ტახტს დაბრუნებდა.

დავითი ხელმოკლედ გაიპარა. ამჯერად გაუმართლა. თუმცა ძალიან გაუჭირდა სამშვიდობოს გასვლა. თურთმეტი დღე-ღამის განმავლობაში, სრულიად მშვიდი, ტანსაცმელს მოხიზული, ჯოჯობდა მიიწვდა კავკასიის ჩრდილო ფერდობებზე. მეთორმეტე დღეს მიღწია კახეთსა დასახლებას თურგის ოლქში. აქედან, მისი ვინაობის დადგენის შემდეგ, საშუალება მიეცა ასტრახანს ნასულიყო, საიდანაც, მდინარე ვოლგის გაფლით, მოსკოვში აღმოჩნდა.

რატომ არ დაბრუნდა დავითი საქართველოში? საქმე ის არის, რომ ქართლის სამეფო კარისთვის ის უკვე ოპოზიციონერად მიიჩნეოდა; მორეც, კავკასიის სამხრეთის ფერდობები სავსე იყო მოთარეშე ლეკთა რაზმებით და სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, ისევე ტყვედ ჩაეარდინილიყო. გარდა ამისა, ვახტანგის ამალი ბევრი ნათესავი და ახლობელი ეგულეობდა და, ბუნებრივად, ყოველმხრივ გამართლებული იყო მოსკოვში გამგზავრება.

მოსკოვში 1729 წელს ჩავიდა. იქ მას მართლაც „პატარა საქართველო“ დახვდა. ვახტანგ მეექვსის ამალი იმყოფებოდნენ მისი სწავლული ვაჟები ვახუშტი და ბაქარი, ძმა — სვიმონ ბატონიშვილი, არაგვის ერისთავის ძე — რომანოზ არქიმანდრიტი, მრავალი ცნობილი თავადიშვილი. გარდა ამისა, აქ შეხვდა ძმას — ქრისტეფორეს, ზიძას — მერბა გურამიშვილსა და სხვა ახლობლებს.

დავითს ვახტანგის ამალი თანამდებობა ებოძა. მეფემ ჯაბადარბაზად ანუ იარაღის სანყვლის (ჯაბახანის, თოფხანის) ზედამხედველად დანიშნა. „მინყალობეს მათ სახელი, მომცეს ჯაბადარბაზო“. — წერს გურამიშვილი, რომელიც, ჩანს, საქართველოდანვე ახლის იცნობდა სამხედრო საქმეს. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, ამას მისი შემდგომი ოცნებანი საომარი პრაქტიკაც ადასტურებს.

მოსკოვში, ვახტანგის კარზე, აღდგომასა და სხვა დელესანაულებზე, კულტურული მეჯლისებიც იმართებოდა. ნეკილია მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საღამოები და ლიტერატურული პაექრობები. ერთ-ერთ ასეთ პაექრობას გურამიშვილი მეტად ხატონდა ისხენებს:

ჯავახიშვილს გამაღუესეს, მომარეს ჩემებრ ცულდას, პირად მჭლესა, ტანად ხმელსა, ვით ნურაინს სხვა მრუდას; რაც ცე უთხრი, მას მიაჩნდის, ვით ნარცეცხლა უკან კულდას, ბევრჯერ ასე იმწვიტინის, კოჭით ძირს დასცემდის ქულდას. გარკვეული ხნის განმავლობაში ვახტანგ მეექვსე იმედოვნებდა, რომ რუსეთის ხელისუფლების დახმარებით შეძლებდა ტახტის დაბრუნებას, სხვათა შორის, ეს რუსეთის გეგმებშიც შედიოდა, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ისე გამწვავდა, რომ „ჩრდილოს მეფემ“ საქართველოსთვის ველად მოიცავდა. მეტიც, აღმოსავლეთის პოლიტიკაში დათმობებზე წავიდა და თავის ჯარებს კასპიისპირეთიდან უკან დაახევინა. ვახტანგს საბოლოოდ გაუცრუვდა იმედები. ხელი აიღო პოლიტიკაზე, დატოვა მოსკოვი და, როგორც რიგითი, კერძო პიროვნება,

ქართველ ჰუსართა პოლკი 1739 წელს ჩაერთო ყირიმის ომში, რომლის მიზანი იყო ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერება ჩრდილოეთ და დასავლეთ შვიზღვისპირეთში. რუსეთის არმიის გამარჯვებაში ქართველებმაც დიდი როლი შეიტანეს. ერთ-ერთ რუს სარდალს უთქვამს: „ქართველები ისე თავგამებდნენ და ვაჟკაცურად იბრძოდნენ, რომ მეტის წარმოდგენა შეუძლებელია“ (გიორგი ლეონიძე, „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“, გამოკვლევები და წერილები, 1958 წ., გვ. 250-251).

ღირსეულად უბრძოლია დავით გურამიშვილსაც, რიგითი ჰუსართაგან კვარტირმისიტრად, შემდეგ კი ვახტანგის დაუწინაურებიათ. გურამიშვილმა სამხრეთის ფრონტიდან ჩრდილოეთში გადაინაცვლა. მონაწილეობდა არანაკლებ მამარ ბრძოლებში შვედების წინააღმდეგ, კერძოდ, ეს იყო უფლისწფორსთან და ფრლსინგფორსთან გამარჯვებული დავითი უკრაინაში დაბრუნდა და თავისი გამარჯვებული ადგილ-მამულის აღორძინებას მიჰყო ხელი. როცა საქმე გამოასწორა და მეურნეობა თავის გემოზე გამართა, ახალ ომში გაიწვიეს.

1756 წელს დაიწყო რუსეთისა და პრუსიის ხანგრძლივი საომარი დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში „შვიდწლიანი ომის“ სახელით შევიდა. პირველი დიდი ბრძოლა პრუსიისა და რუსეთის ჯარებს შორის მოხდა სოფელ გროს-გერსდორფთან 1757 წლის 30 აგვისტოს. პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორის არმიამ სასტიკი დამარცხება განიცადა. სწორედ ამის შესახებ წერს დავით გურამიშვილი:

ორმოციწიდეტს ბრუსის კოროლი შევერყვეთ ტახტის მვეტი. ამას მოჰყვა რუსების მიერ კენიგსბურგის აღება (1758 წლის 21 იანვარს). 1758 წლის 15 აგვისტოს კი გამართა ბრძოლა კოუსტრინთან, სადაც დავით გურამიშვილი ტყვედ ჩავარდა და მაგდებურგის ციხეში აღმოჩნდა:

ორმოციწიდეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა დაგვავიფო რეტი. მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუნისაგან დავრჩი კენტი. მაღდებურგის ციხეშიგან დამსვა კარგ-დანაკლეთი.

გაერცელებული აზრის სანინააღმდეგოდ (რომელსაც თვითონ დავითიც ადასტურებს), ლეკან ასათიანი მიიჩნევდა, რომ გურამიშვილი კოუსტრინთან კი არ დაატყვევდა, არამედ კორნდორის ბრძოლაში, რომელიც კოუსტრინის ბატალიებიდან ათი დღის შემდეგ, 1758 წლის, 25 აგვისტოს გაიმართა. თუმცა მთავარი ის კი არ არის, თუ სად დაატყვევდა, არამედ ის, თუ რამდენ ხანს იმყოფებოდა ტყვეობაში. არსებობდა აზრი, რომ გურამიშვილმა ომის დარჩენილი პერიოდი ციხეში გაატარა და მხოლოდ „შვიდწლიანი ომის“ დამთავრების შემდეგ, 1763 წელს გათავისუფლდა. თუმცა რუსეთის სამხედრო არქივში აღმოჩენილი მასალების მიხედვით არცევა, რომ გურამიშვილი 1759 წლის 7 დეკემბერს, ტყვეების გაცვლის შესახებ რუსეთსა და პრუსიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაუთავისუფლებიათ (სოლომონ ყუბანეიშვილი, „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში“, 1955 წ., გვ. 97).

ჯანმრთელობაში მყოფი დავითმა თხოვნით მიმართა ფელდმარშალ პეტრე სალტიკოვს, პეტრე-ბურგში გამგზავრების ნება დაერთო, რათა სამხედრო კოლეგიაში გამოცხადებულყოფი და ჰუსართა პოლკიდან გათავისუფლების ცნობა მოეთხოვა.

პეტრე-ბურგში ჩასული დავითი ჰოსპიტალში მოათავსეს. მან ჰოსპიტალიდანვე გაგზავნა თხოვნა დედოფალ ელისაბედის სახელზე. დავითი დანერვილებით აღწერს თავის საომარ თავგადასავლს. წერს, რომ, როდესაც ცხენით ჭაბში ჩაველო და დაატყვევდა, მარჯვენას მხარი დაუზიანდა და თავი სულად ვეღარ ხმარობს; ტყვეობაშივე დასრულდა თავი ძლიერი ხმაური, შეეყარა იპოქონდრია და დაუსუსტდა მხედველობა. ყოველივე ამის გათავისუფლების მიზნით, ითხოვს სამხედრო სამსახურ-



როგორ წარმოადგინათ საქართველოს დროშა 1917 წლის ბაზაზე?

ეროვნული ალაში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალაზრისით

საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებელ ატრიბუტს – სახელმწიფო სიმბოლიკა წარმოადგენს.

სახელმწიფო სიმბოლიკაში შემავალ ცალკეულ ატრიბუტზე, კერძოდ, დროშაზე, გერბზე, ფულის ნიშანსა და ვილონზე ალბეცდელი წარწერები და გამოსახულებანი უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს თანადროული ეპოქის შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო სიმბოლიკის მეცნიერულ შესწავლას, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკაში უპირველესად მოიაზრება სახელმწიფო დროშა.

ტერმინი „დროშა“ ძველ ირანულ (ავესტურ) ენაზე „სინათლეს“, „ნათელს“, „თვალსაჩინოს“ ნიშნავდა.

დროშა წარმოადგენს ერთი ან სხვადასხვა ფერის მქონე გარკვეული ზომის ქსოვილს, რომლის ცალი მხარე დამაგრებულია ხის ტარზე. მასზე ტრადიციულად გამოსახავდნენ რაიმე ემბლემას – სახელმწიფოს, ჯარის, კორპორაციის ან საკულტო სიმბოლოს (იხ. უზნები სი-დამონიძე, ნოდარ შიშინაშვილი, „დროშა“, ტ. 2, თბ., 2012, გვ. 497).

დროშებს შესწავლის ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი, საგანგებო დამხმარე დარგი – ექსპლოლოგია. მისი სახელწოდება მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან – „ექსილუმ“ (ექსილუმ – „რომელიც ეწოდებოდა რომაელთა სამხედრო ნაწილებს, ძირითადად კი – ცხენოსანი რაზმის დროშას).

ტერმინი „ექსპლოლოგია“ ექვევალენტურ ქართულ შესატყვისად შესაძლოა ჩაითვალოს – „დროშათმცოდნეობა“.

ქართული დროშების ისტორია ისეთივე ძველია, როგორც თვით ქართველი ერის ისტორია, რომელიც სათავეს ათასწლეულთა სიღრმეებიდან იღებს.

საქართველოში დროშების მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა სარა ვასილის ასულმა ბარნაველმა (1902-1984), რომელიც წერდა: „დროშები მატერიალური კულტურის იმ საყურადღებო საგანს წარმოადგენენ, რომელთა როლი უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე ცოცხალია. დროშის მნიშვნელობა ძველ საქართველოში ძალიან დიდი და მრავალფეროვანი იყო. იგი არის ძალაუფლების გამოხატველი, სამხედრო საქმეში ჯარის ნაწილებისა და სარდლების განმასხვავებელი ნიშანი, აგრეთვე, სხვა სპეციფიკურ საბრძოლო დანიშნულების მქონე; ამის გარდა, ზეიშთა მონაწილეა და საკულტო საგანიც“ (იხ. სარა ბარნაველი, „ქართული დროშები“, თბ. 1953, გვ. 1).



ვეფქრობთ, საყურადღებოა თუ როგორ წარმოედგინა ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს საქართველოს დროშა რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, – 1917 წლის გაზაფხულზე, კერძოდ, მანამდე, სანამ ეროვნული აღმის სტატუსს სამხედრო დროშა შეიძენდა. ამის თაობაზე ქვემოთ მოვიხილოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება აქამდე არავის არ გაუმახვილებია.

1914 წელს თბილისის სათავადაზნაურო გინაზის მასწავლებლის პეტრე სურგულაძის მესვეურობით, შეიქცაოდა ქალაქ ყენევაში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (იგივე – „დაკომი“), რომელშიც გაერთიანდნენ: მებე ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ ნურეთელი, ნესტორ მაღალაშვილი, შალვა ვარდიე, მელიტონ ქარცივაძე, ზაბაძე აბაშიძე და სხვები.

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ბერლინი გადვიდა და მჭიდრო კავშირი დაამყარა გერმანიის იმპერიის მმართველ წრეებთან. მათივე დახმარებით, დამოუკიდებლობის კომიტეტმა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქანეთში (იგივე ლახეთი) ჩამოაყალიბა საჯარისო შენაერთი „ქართული ლეგიონი“.

სწორედ გერმანიის მხარეზე მებრძოლი დამკომისა და ქართული ლეგიონის ისტორიას უკავშირდება პირველი ქართული ორდენის – თამარ მეფის ორდენის დანერგვა და არსებობა. ამ წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ვილია. ამ ორდენის კავალერი შეიძლება გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთია შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე

გერმანელებიც. აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი (იხ. ნიკო ჯავახიშვილი, „თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან)“, თბ. 1998).

ვეფქრობთ, ინტერესოვალეული არ უნდა იყოს, თუ როგორ წარმოედგინა იმდროინდელი ქართული საზოგადოებ-



რობის ერთ ნაწილს, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ეროვნული დროშა სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ.

როგორც ცნობილია, მოქანდაკე იაკო ნიკოლაძის მიერ შექმნილი სამხედრო დროშა, თეთრი და მინდისფერი დროშა, რომელიც გერმანიის იმპერიის სახელმწიფო დროშის მსგავსი იყო (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს სამივე ფერი ბოლომდე გასდევდა), აფრიალდა 1917 წლის 19 ნოემბერს, როდესაც თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა გაიხსნა. ამ ყრილობის მონაწილეებს გულზე სწორედ ასეთი ფერის ბაფეთები ეკეთათ.

ეს დროშა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქცა.

საგულისხმოა, რომ შემორჩენილი ოფიციალური დოკუმენტი, გაცემული ზემოხსენებულ თარიღამდე ნახევარი წლით ადრე, საიდნავც ირკვევა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

1917 წლის 1 მაისით დათარიღებული საბუთით დგინდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოებია გრაფი

ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბერგი (1875-1944), რომელიც მსოფლიო ომამდე იყო გერმანიის იმპერიის კონსული თბილისში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოგვიანებით, გრაფი შულენბერგი მსახურობდა გერმანიის ელჩად სარ კავშირში (გერმანიის-სსრკ-ის ომის დაწყებამდე). „ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებას“ და 1944 წლის 20 ივლისს, გერმანიის (პრუსიის) ქალაქ რასტენბურგში, ე.წ. „მგლის ბუნაგში“, კანცლერ ადოლფ ჰიტლერზე (1889-1945) განხორციელებულ აფეთქებაში მონაწილეობის ბრალდებით, გრაფი შულენბერგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ ისტამბულში გაცემულ ამ დოკუმენტს, რომელზედაც დაფიქსირებულია ამ ქალაქის ისტორიული დასახლება – კონსტანტინოპოლი, ხელს აწერენ დამკომის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე და წევრები: ზაბაძე აბაშიძე (შემდგომად აბაშიძის ბიძაშვილი), ი. ქარცივაძე და მ. მაღალაშვილი.

საბუთში ვკითხულობთ: „მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენ საქმეში,



გვაქვს პატივი მოგანოდით სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მკერდზე ქვემოდას“. დაჯილდოების დამადასტურებელი ამ სიგელს ქვედა მარცხენა მხარეს აქვს დასმული მრგვალი, ლურჯი ფერის ბეჭედი, შემდეგი წარწერით: „დამოუკიდებელ საქართველოს პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტი“.

საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში, გამოსახულია თამარ მეფის ორდენი, რომლის ორივე მხრიდან აღმართულია დროშა – წითელი (მინდისფერი) და შავი ჰორიზონტული ზოლებით. ასეთივე ფერის ლენტა (ბავთა) მთლიანად აქვს გარს შემოვლებული დაჯილდოების დამადასტურებელი აღნიშნული სიგელი.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ იყო აღნიშნულ დროშაზე მაინცდამაინც წითელი (მინდისფერი) და შავი ფერები?

შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილებაში „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გარკვეულწილად ასახავს ქართულ სინამდვილესაც, ვკითხულობთ:

„აგმართე დროშა მეფისა, აღმთა წითელ-შავითა“. პროფესორები აპოლონ სილაგაძე და გოზა ჯავახიშვილი თავიანთ ბროშურ

რაში, რომელსაც სათაურად აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოღებული ზემოხსენებული სიტყვები, წერდნენ: „დროშები ფერთა ასეთი შეხამებით არ არსებობდა ჩვენს მეზობელ არც ისლამურ სამყაროში, არც ბიზანტიაში. ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, მოტანილი სტრიქონი რუსთაველიდან თუ ჩანამატი, – ორსავე შემთხვევაში საქართველოში არსებობდა ტრადიცია, რომ შავი ფერი ალამზე, წითლის გვერდით, სულაც არ არის არაჩვეულებრივი და მიუღებელი“ (იხ. აპოლონ სილაგაძე, გოზა ჯავახიშვილი, „აგმართე დროშა მეფისა, აღმთა წითელ-შავითა“, თბ. 1999, გვ. 30).

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, უნდა ვიფარაოდით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, როგორც ქართველ მამულოშვილებს და განათლებულ ადამიანებს, აღნიშნული ფერები შემთხვევით არ შეურჩევიათ დროშისთვის, რომელსაც, როგორც ჩანს, ისინი მოიაზრებდნენ საქართველოს მომავალ სახელმწიფო დროშად.

რასაკვირველია, ასეთი დროშა ბევრად უფრო ტრადიციული და მსაფერისი იქნებოდა საქართველოსთვის, ვიდრე სამხედრო ალაში, რომელიც 1918 წელს იქცა პირველი ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, დაჯილდოების სიგელს, მსგავსი გაფორმებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, მოგვიანებით, აღარ გასცემდა. კერძოდ, დამკომის მიერ 1918 წელს გაცემულ სიგელზე, დროშის გამოსახულება საერთოდ აღარ გვხვდება. როგორც ჩანს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ანგარიში გაუწია იმ ფაქტს, რომ სამხედროვანმა დროშამ იმხანად უკვე ოფიციალურად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის სტატუსი.

ამრიგად, ზემოთ განხილული დოკუმენტური მასალიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის იმპერიის მხარდაჭერით (ცდილობდნენ (რაც 1918 წლის 26 მაისს რეალურად იქცა), ჩვენი სამშობლოს დროშად წარმოედგინათ ალაში – წითელი (მინდისფერი) და შავი ჰორიზონტული ზოლებით. ეს კი სასცებით და ნათლად ეხმიანება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ დაცულ ზემოხსენებულ უაღრესად საყურადღებო ისტორიულ ცნობას.

ნიკო ჯავახიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გენიალური პოეტი, მამაცა შეიშანი, ყიბღღა აქაშიანი

დან გათავისუფლებასა და, ნესი-სამებრ, კაპიტნის ჩინის მინიჭებას.

1760 წლის 15 მარტს სამხედრო კომისიამ დააკმაყოფილა დავითის თხოვნა და გადაწყვიტა დასამტკიცებლად წარუდგინა დედოფალ ელისაბედს, რომელმაც შეინყნარა ქართველი პუსარის თხოვნა, ოღონდ კაპიტნის ნაცვლად პორუჩიკის ჩინი მიანიჭა.

შინ დაბრუნებული დავითი ხელმოწერა შეუდგა მეურნეობის აღდგენას მირგოროდსა და ზუგდიდში. როგორც ნამდვილ მეურნეს შეპყრობის, თვითონაც შრომობდა და თან რენტაბელობის ამაღლებაზე ფიქრობდა. შეადგინა სარწყავი წყლის ასამალელები და ნისქვილის პროექტები, თუმცა, ხელმოკლეობის გამო, ვერ განახორციელა.

ორივე სიტყვა დავითის ოჯახური მემკვიდრეობის შესახებ. 1738 წლის სამხედრო „უნებებიდან“ ირკვევა, რომ მისივე დავითის ახლდა ცოლი, სიდედრი და მსახურები. გიორგი ლეონიძე ვარაუდობდა, რომ ან თვითონ დავითი

უნდა ჩამოსულიყო საქართველოში ან რომელიმე ახლობელს (ძმა ქრისტეფორეს; ბერ გარაყანიძეს) უნდა ეთავა მისი ცოლისა და სიდედრის რუსეთში წაყვანა. უკრაინაში დავითმა მეორე ცოლი შეირთო – ტატინა ვასილის ასული ავალიშვილი. შვილი არც მისგან ჰყოლია. პოეტი ძალიან განიცდიდა უმეკვიდრედ გადაგებას. ეს განცდა კიდევ უფრო გაუმძაფრდა სიბერეში, როდესაც მარტო დარჩა და ნუგუმის სიტყვა სანატრელი გაუხდა. გულისტკივლით წერდა:

მომხსენებელი არ მრჩების, მამფოთებს, ეს მალონებსა. ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვაჟე, ვინ მამიფონებსა? თუ არ შეკრებ და არ უძღვნი ყრბთა იავარდის კონებსა, ცოცხალიც არ ვახსოვარ, მკედარს ვინდა მამიფონებსა?! დავითმა მართლაც შეკრიბა „იავარდები“, ნიგნად შეკრა და თავის შვილად, თავის მემკვიდრედ გამოაცხადა: „ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა“. ცხადია, გურამიშვილი სიჭაბუკიდან

წერდა ლექსებს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ თითქმის მთელი „დავითიანი“ სოჭარმაგები, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, მირგოროდში აქვს დანერგილი. საკუთარი ხელით ლამაზად გადწერილი და თემატურად დალაგებული ნიგნი 1787 წელს კრემენჩუგში სამხედრო ვიზიტით მყოფ მირიან ბატონიშვილს (ერეკლე მეორის შვილს) გადასცა და სთხოვა, საქართველოში წაეღო. „მათი გაგიგონე დიდროსან ღამებში შესაქცევლად ქართლის ნიგნების დამჭირნება და ამაღ კანდიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი ნიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“. – წერდა არზაში, რომელიც მირიან ბატონიშვილს მართავდა 1787 წლის სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს, 1787 წლის სექტემბერში, კრემენჩუგს იმყოფებდა პოეტი ბესიკი – ბესარიონ გაბაშვილი, რომელიც იმერეთის მეფე დავითმა გაგზავნა სამხედრო-პოლიტიკური მისიით. მასაც ისეთივე დავალება ჰქონდა, როგორც მირიან ბატონიშვილს: „უნდა შეემზადებინა ნიდავაი იმისათვის, რათა რუსეთს გადაეღვა ნაბიჯები იმერეთის

სამეფოსთან სამხედრო თანამშრომლობისკენ. კრემენჩუგში ბესიკი საკმაო ხანს იმყოფებოდა. მირიანთან ერთად ლიტერატურული ნიგუც კი ჩამოაყალიბა.

სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ დავითი და ბესიკი ერთმანეთს შეხვედროდნენ. არც ის არის გამორიცხული, მათ ერთმანეთს ლექსები წაკითხათ ან მოეცინათ.

დავით გურამიშვილი 1792 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა. დაკრძალეს მირგოროდის ეკლესიის მიძინების ტაძრის ეზოში. ეკლესიის მიცვალებულთა იადგარში წერია: „მიიცვალა თავადი დავით გურამიშვილი მონაწილეთ“.

გურამიშვილებს საგვარეულო სამარხი ჰქონდათ ზედაზნისა და შიომღვიმის მონასტრებში, მაგრამ დავითმა მირგოროდში ჰპოვა საბუდამო განსასვენებელი. უკრაინა იქცა მის მეორე სამშობლოდ.

1969 წლის 12 მაისს მირგოროდში საზეიმოდ გაიხსნა დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. იმავე დღეს გახსნეს პოეტის ძეგლიც, რომლის ავტორები არიან ა. ნიმეჯი და ნ. ობეზოვი (არქიტექტორი გ.

ფიგულინი).

დავით გურამიშვილი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელია. როულმა და საბჭოთა ხელისუფლებით აღსაცხე ცხოვრებისეულმა გზამ ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. სამი კულტურული ნაკადი ქმნის გურამიშვილის მსოფლმხედველობასა და პოეტურ ცნობიერებას. ქართული, რუსული და უკრაინული ყოფიერებისა და სიტყვიერების ესთეტიკური ტენდენციები ორგანულად ერთიანდება ამ უაღრესად ნიჭიერი პოეტის შემოქმედებით სამყაროში.

შესანიშნავად მოხაზა მიკოლა ბაჟანმა დავითის პიროვნულ-შემოქმედებითი პორტრეტი: „ქართველი პოეტი, რუსი მეომარი, უკრაინელი მხენელ-მთხველი“. მშობლიური ფესვიდან მონყვეტამ ვერ შეარყია პოეტის მხენობა. მან თავის თავში აღმოაჩინა უდიდესი ნებლობა და სულიერი საფრთხე დაიხსნა, რომ სრულად განხორციელებინა ბრწყინვალე პოეტური ტალანტი, რომლის უტყუარი დასტურია უაღრესად მაღალი გემოვნებით მედგენილი ნიგნი „დავითიანი“.

მუკან თავლიშვილი

ტოპონიმის ერთ-ერთი სფერო და სახეობაა ე.წ. მეორადი დასახლებები. ამის მაგალითი ბევრია. ცალკე პირები, ადამიანთა ჯგუფები, ეთნოსები ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს და ახალ საბინადროზე მკვიდრდებიან. ამას ზოგჯერ ბუნებრივი, ზოგჯერ კი ისტორიული კატაკლიზმები იწვევს. გავისხენოთ მეორადი ტოპონიმის რამდენიმე ნიმუში.

იერუსალიმიდან, კერძოდ, ბეთლემიდან, საქართველოში ჩამოსულან ბერები, ყაზბეგის მთასთან ახლოს გამოუთხრიათ მღვიმე და უწოდებიათ ბეთლემი. „განდევლომ“ ილია ჭავჭავაძე მიუთითებს:

უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვამავთ მუნ მონასტერი და იმ ყინულში შეთხრის ღვთის ტაძარს ბ ე თ ე მ ს უწოდებს დღესაცა ერი.

საბერძნეთში არსებობს ცნობილი ათონის მთა – ქრისტიანთა უწმინდესი სახანე. იქ განსწავლულ და შემდეგ საკუთარ მამულში დაბრუნებულ ბერებს არაერთ ადგილას დაუარსებიათ იმავე სახელდების სახანე. სწორედ ამგვარად გაჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი ათონი.

კარგად ცნობილია მესამე მაგალითი. სპარსეთის მბრძანებელმა შაჰ-აბას პირველმა კახეთის გაჩანაგება-განადგურების მიზნით აქაური სოფლების მკვიდრნი ადგილებიდან აყარა და ფერეიდანში გადასახლა. აქედან წასულენებმა უცხო გარემოში დააარსეს თავიანთი მშობლიური სოფლები და მათ ძველი სახელები შეუნარჩუნეს. ამიტომაც ვხვდებით იქ ასეთ დასახლებებს: ვახიანი, მარტყოფი, ჩულურეთი, ვაშლოვანი ...

ასე ჩნდებოდა და ჩნდება მეორეული ტოპონიმები.

ისტორიული ძეგლებდობის გამო (ძირითადად მაჰმადიანური ძალმომრეობისა და ეთნიკური შევიწროების გამოისობით) ბევრი მესხური ოჯახი (გვარი) გამოქცეულა ქვეყნის შიდა მხარეებში და იქ უძებნია მშვიდი ცხოვრება. ამიტომაც მესხები მიმოიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გასაკვირი როდია, თუ ძირძველ მესხურ გვარებს ვხვდებით იმერეთში, სამეგრელოში, ქართლ-კახეთში თუ სხვაგან.

ისიც საგულისხმოა, რომ მთელი გურია ძირითადად წარმოადგენს მესხეთიდან გადმოსულ სამცხელებს, რომელთაც ოდესღაც სამეგრელოს ტერიტორიის „გური“ (გული, ცენტრი) მიუღიათ და იქ დაემკვიდრებულან. სხვათა შორის, ამაზე მეტყველებს ერთი ჯიუტი ფაქტი: გურიის ტერიტორიის მიკროტოპონიმების უმრავლესობა ქართულად არაფერსა ნიშნავს, სამაგიეროდ, ოღონდ იხსენებამეგრული ენის საფუძველზე.

გურია რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე მოგვიანებით არის ჩამოყალიბებული, ამას აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 56). ბუნებრივია, დიდ მეცნიერს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა ვახუშტის ცნობა: „გურია არა ნილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა... და მიერთნენ ლეონს“ (ვახუშტი ბატონიშვილი, IV, 1973, გვ. 789).

გურიაში გადმოსულ სამცხელებს, ოძრხელებს, თან გადმოუტანიათ თავიანთი ტოპონიმები.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა გურიაში დადასტურებული მესხური მეორადი ტოპონიმების ამავე.

უწინარეს ყოვლისა, ვნახოთ, თუ როგორ გადმოუტანიათ გურიაში გადმოსახლებულ სამცხელებს აქ თავიანთი „დედაქალაქის“ სახელი ოძრხე.

ირკვევა, რომ დღევანდელი გურიის „დედაქალაქის“ სახელი ოზურგეთი მომდინარეობს ტოპონიმიდან ოძრხე. საქმეს ისაა, რომ ზოგ საისტორიო წყაროში ნახსენებია ოძრხე მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის პოეტს არჩილ მეფეს თავის მთავარ პოემაში ამ სახით უხსენებია - ოზურხე: „დანვეს ქალაქი ოზურხე“ (არჩილიანი, 1999, გვ. 320).

ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მე-17 საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბებულა ოძრხე დასახლების ფონეტიკური ვარიანტი ოზურხე. არც ერთ გრამატიკოსს - ფონეტიკოსს არ გაუჭირებია ოძრხე ფორმიდან ოზურხე ფორმის გამოყვანა: ოძრხე → ოძურხე → ოზურხე → ოზურხე.

რთული თანხმოვანი (აფრიკატი) „ძ“ იშლება ორ მარტივ ბგერად „დზ“.

სხვათა შორის, ჩემი სოფელი ძიმითი რუსულად იწოდება ასე: დზიმითი.

შუალედური ფორმა ოზურხე ის ოქროს

გასაღებია, რომელიც ოღონდ ადებს დღემდე მჭიდროდ დაგმანული ტოპონიმის ოზურგეთის კარებს: ოზურხე → ოზურხეთი → ოზურგეთი.

ასე რომ, პირწმინდად გამტყუნდა რამდენიმე სახელოვანი მეცნიერის ვარაუდი. კერძოდ, ის, რომ ი. მეგრელიძე ოზურგეთი ფორმაში სა-ზურგეთ-სა ხედავდა; რომ ნ. მარი ამ დასახლებას ოსურგეთად (საქალაქი) მიიჩნევდა; რომ მავანნი მასში ოზურგეთსა ხედავდნენ.

ყოველივე ეს გამოდგა ხალხური ეტიმოლოგია და მეტი - არაფერი! (იხ. ალ. ლლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, 1993, გვ. 26).

ამრიგად, სამეგრელოს გულში გადმოზარგებულ სამცხელებს თავიანთი დედაქალაქის სახელდებაც თან წამოუღიათ, ოღონდ გადმოუტანიათ ოძრხე ფორმის ბოლო ფონეტიკური ვარიანტი ოზურგეთი (ოზურგეთი).

მაშასადამე, ოზურგეთი მეორადი მესხური ტოპონიმი გაურის ტერიტორიაზე. იმავე გურიაში, ოზურგეთიდან 7 კმ და-

ნამიკაც (გარედან შიგნით).

სხვათა შორის, სწორედ სამცხიდან გადმოვიდნენ, გურიაში დასახლდნენ და ცხოვრობდნენ ცნობილი გვარები: ჯავყელები და შალიკაშვილები.

მკვლევარებმა შენიშნეს, რომ „სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ხშირია საერთოდ ზანური წარმომავლობის ტოპონიმიკური მასალის არსებობა“ (დავთარი, III, 118). სწორედ ასეთად არის მიჩნეული სოფელი ცხროჭა. ეს იგივეა, რაც მეგრული ჩხორონყუ (ცხრანყარო). გვეგონია, რომ მოგვიანებით სწორედ მესხეთიდან გადმოსულმა ქართველებმა შეარქვეს გურიაში, სოფ. საჭამიასურში, ერთ პატარა ლელეს ჩხოროჭა (დავთარი, III, 119).

მესხურ-სამცხური ტოპონიმი ჩოხტა (III, 137). იგი ეწოდება სოფელს. საგულისხმოა, რომ გურიაში გადმოსახლებულ მესხებს ეგ სახელწოდება მიუნიჭებიათ დაბისათვის ჩოხტაური. აქვე დავსძენ: ყმანელიკაცობაში არაერთხელ მომისმენია გურულთა მიერ წარმოქმნილი არა ჩოხტაური, არამედ ჩოხ-

ჩევა ეს ადგილი? იმით, რომ აქ შესანისნავი სიმინდი მოჰყავთ და კარგია იმიტომ, რომ მინა ბევრ ლეკს (ლექი) შეიცავს. ლეკიანი მინა ადვილად ითხსნება, სარეველას ებრძვის, ნოყიერია და ა.შ. სწორედ ასე ესმის ამ ადგილის მნიშვნელობა ს. ლომჯარიას: „ლეკიანი – საყანე. სახელი დაერქვა მინის გამო, ლექი, ლექიანი“ (ს. ლომჯარია, სოფელო ჩემო, 2012, გვ. 36).

სხვათა შორის, ძიმითის კოლმეურნეობას სოფ. ლეკიანში თავისი სიმინდის ყანები ჰქონდა და ახალგაზრდობაში მეც ბევრჯერ მომწევი იმ ყანებში თოხის ქნევა. პროფ. ალექსანდრე ლლონტის მშობლებს ლეკიანში სიმინდის ნალიაც კი ჰქონდათ უხვი მოსავლის დასაბინავებლად. ამ ამბავს საინტერესოდ აღწერს თავად პროფესორი.

ამრიგად, თუ შავიზღვისპირეთის ურეკი მეორეული ტოპონიმი, მაშინ ამ რიგში მოქცევა მისი მეზობელი მიკროტოპონიმი ლეკიანიც.

საგულისხმოა, რომ ერთ ისტორიულ დოკუმენტში მითითებულია: ქართველებს შემოუტია თურქის ჯარმა და „ლალაფაშა... ლეკზე დადგაო“. ამ ვითარებას ვერასოდეს ავხსნი, თუ აქ ლეკად ვიგულისხმებთ ან ეთნოსს ლეკი ან კიდევ ხემცენარეს ლეკი, ლეკარი. ეჭვი არაა, აქ იგულისხმება მესხური სოფელი ლეკი, ლეკარი, გურულად – ლეკიანი ადგილი.

აქვე საჭიროა გავისხენოთ ოდესღაც გურიის საზღვრებში შემავალი ტერიტორია, დღეს რომ გურია-იმერეთს შორისაა მოქცეული და ეწოდება ერთი უცნაური სახელი საჯავახო.

რა უნდა გურიასა და იმერეთს შორის ბუფერად განოილლ საჯავახოს?!

სინამდვილეში საჯავახო მეორადი მესხურ-ჯავახური ტოპონიმი და ეგ დასახლება გაჩენილა ჯავახთა ერთი ფრთის გადმოსვლით გურიაში. რაკილა გურიის სამი რეგიონი (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხტაური) სამცხელებმა დაინარჩუნეს, ჯავახებმა გურიის ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელება დაიკავეს და უწოდეს მას საჯავახო. ამ აზრს ამაგრებს ერთი სხვა ფაქტიც: ისტორიულ წყაროებში საჯავახო პირველად სწორედ იმ ავბედით საუკუნეშია მოხსენიებული (XVI), როცა ლალა-ფაშამ მესხებს ზურგზე ბოლი აადინა; მეორეც, სოფელ საჯავახოში დგას სწორედ ამ საუკუნეში (1519 წელს) აშენებული წმ. გიორგის ეკლესია.

მაშასადამე, საჯავახოს გაჩენა გურიის ისტორიულ ტერიტორიაზე მე-16 საუკუნის დამდეგს მომხდარა. ამიტომაც სახელწოდება „საჯავახო“ სულაც არ უკავშირდება XIII საუკუნის ფეოდალ ჯავახ ჭილაისძის სახელს (ქსე, 9, 258).

აღნიშნული თვალსაზრისის მხარს უჭერს სხვა სამარეო ფაქტი.

მაჰმადიანებს მეტად შეუწუხებიათ ერთი ჯავახური სოფლის მკვიდრნი. ამ დასახლებას ეწოდებოდა რეხა (III, 282). ისინი გამოქცეულან და ეროვნებისა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად დასახლებულან „დედაქალაქ“ ოზურგეთიდან 5-6 კილომეტრში, სოფლისათვის კი უწოდებიათ რეხა-ული. საბოლოოდ ამ ბეგრათკომპლექსიდან ჩამოყალიბდა სახელწოდება გურულთა სოფლისა ლიხაური (მევიხსენით, რომ ექვთიმე თაყაიშვილი სწორედ ლიხაურიდან გახლდათ).

თუ ვითარ გარდაიქცა სიტყვა რეხაული ფორმად ლიხაური, ამაზე საინტერესოდ და დამარწმუნებლად მსჯელობს პროფ. ბორის დარჩია (ფილ. ძიებანი, I, 2013, გვ. 565-568).

გვეგონია, რომ ჯავახური სოფელი ბურნაშეთი (III, 284) დაედო საფუძვლად ცნობილ გურულ სოფელს, პოეტ გივი ძნელაძის სამშობლოს ბურნაშის, რომელიც ასევე საჯავახოსთან ახლოს, გურიის კედლეზეა გაშენებული. ფაქტობრივად იგი საჯავახოს გაგრძელებაა გურიის მიმართულებით.

ჯავახეთის ერთ-ერთი საგულისხმიერო სოფელია ჯუმათელი (III, 456). ეჭვი არაა, რომ ესეც უძველესი ზანური სიტყვაა („ჯუმა“ ნიშნავს ძმას, რელიგიური ძმობის ნევრს), ოღონდ მოგვიანებით, თურქთა მომძლავრების გამოისობით, დაახლოებით XVI საუკუნის დამდეგს, შესაძლოა, სულაც ლალა-ფაშას ლაშქრობის შედეგად, ჯუმათელები გადმოვიდნენ გურიაში და დააფუძნეს სოფელი ჯუმათი. საგულისხმოა, რომ გურიის ჯუმათი დღესაც დგას შუა საუკუნეების (დაახლოებით XV-XVI საუკუნეთა) სამონასტრო კომპლექსი.

ამრიგად, ჩვენი თვალსაზრისით, გურიაში ბევრი ისეთი ტოპონიმი იძებნება, რომელთა მესხური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს; ზოგიც, შესაძლოა, სადავო გახდეს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მესხური წარმომავლობის ტოპონიმი გურიის ტერიტორიაზე დამკვიდრების ამბავი დეტექტივით საინტერესოა და აქ მკვლევარს დიდი სარბიელი ეძლევა.



(საგანგებოდ არის დაწერილი „ლიტერატურული მესხეთისათვის“)

შორებით, მდებარეობს სოფ. შემოქმედი. აქ არის შემოქმედის ცნობილი საეპარქიო ტაძარი. ამ სამონასტრო კომპლექსის ეზოში კი დგას ზარზმისგან გადმოტანილი ეკლესია. მასში ინახება ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოვანებული ფერიცვალების ხატი.

ამრიგად, გურიაში, სოფ. შემოქმედში, არსებული მიკროტოპონიმი ზარზმა, შეიძლება, კიდევ ერთ მეორეულ მესხურ დასახლებად წარმოვიდგინოთ.

შეუძლებელია, გურიაში გადმოსახლებულ სამცხელ მესხებს სხვა ტოპონიმებიც არ წამოეღოთ თავდაპირველი საცხოვრისიდან. ეს ბუნებრივიცაა. ალბათ ამას მოწმობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (II, 1971, გვ. 398) მოხსენიებული სოფელი ოკეთი. ეგ ტოპონიმი მკაფიოდ იკვეთება XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. სწორედ ამ ხანებში უნდა დაძრულიყო მესხთა დიდი ტალღა შიდა რაიონებისაკენ. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ სწორედ ამ დროს აღმოცენდა ოზურგეთთან ახლოვე სოფელი აკეთი (მომდინარეობს ფორმისაგან აკეთი). მესხური ოკეთის „ო“, ჩვეულებრივ, ქართველურ ენებსა და დიალექტებში იშლება ასე: „ვა“ ანდა „ავ“.

ამრიგად, ერთმანეთს ეხმიანება მესხური ოკეთი და გურული აკეთი – აკეთი.

თუ, ერთი მხრივ, მესხეთზე გვაქვს აკეთი (ოკეთი), იქვეა სხვა პარადიგმატიკური ნიმუშიც – სათესი მინდორი ახალ-აკეთი (დავთარი, I, 13). ეგ „აკეთი“ იგივეა, რაც „მენი“.

„დიდ დავთარში“ ნახსენებია XVI საუკუნის სოფელი ურეკი (III, 399).

ეჭვი არაა, რომ სწორედ ეგ დასახლება დაედო საფუძვლად ერთ მეტად ცნობილ გურულ სოფელს. მისი სახელია ურეკი.

ფონეტიკოსისათვის იოლად გასაგებია „ქ“ ყრუ-ფშვიწვიური ბგერის გადასვლა „კ“ ყრუ-აბრუპტივში. სხვათა შორის, ამაზე მიუთითებს ს. ჯიქიაც (დავთარი, III, 582).

შესაძლოა, მავანმა ეჭვი გამოთქვას: იქნებ პირიქით იყოს – გურული ურეკი დაედო საფუძვლად მესხურ ფორმასო? ოღონდ ეგ კითხვა უჯეროა, რაკილა წინ გვიძევს ოზურგეთისა და ზარზმის ფრიად მეტყველი მაგალითები. გარდა ამისა, ისტორიული პერსპექტივაც მნიშვნელოვანია: ქვეყნის შიდა რაიონებიდან არავინ გარბის მასაზღვრო პერიფერიული ტერიტორიებისაკენ. პირიქით მოძრაობა კი ლოგიკური და გასაგებია. ამასვე ადასტურებს ძირძველი მესხური გვარების მოძრაობის დი-

ტაური. ღრმად მოხუცებული გურულები ამ სახელს დღესაც ასე წარმოთქვამენ.

ოზურგეთის რაიონში, ძიმითსა და ბახეს შორის, არსებობს მიკროტოპონიმი საკირე. გვეგონია, რომ ესეც იმ ხალხის ნახელობაა, რომელიც ოდესღაც მესხეთში ცხოვრობდა და მის სოფელს ეწოდებოდა ოკირე (დავთარი, I, 10).

„ო“ ქაც ზანური წარმოშობისაა და ქართულად იგივეა, რაც „სა“. მაშ, ოკირე იგივეა, რაც საკირე.

მესხური ტოპონიმი სლეხა (დავთარი, I, 10). მას ოზურგეთის მახრამში ასეთი სახე მიუღია – ლესა. სლესაცა და ლესაც სოფლებია.

ჩემი ვარაუდით, ქობულეთი, რომელიც დიდხანს გურიის საზღვრებში იყო მოქცეული, შექმნილია ლტოლვილებისაგან, რომლებიც გამოიქცნენ ერთი მესხური სოფლიდან. ამ დასახლებას ეწოდებოდა ქვაბლიანი (ქვაბი). იხ. დავთარი, III, 101, 155.

სოფ. ძიმითის ერთი მიკროტოპონიმი ასე უღერს – დიდლაშე. ვფიქრობ, ესეც მეორეულია. პირველად უნდა იყოს მესხეთში არსებული სოფელი დიდი მლაშე (III, 101).

ჩვენი საგანგებო მსჯელობის საგანია მესხური სოფელი ლეკნარი (III, 147).

ზოგი მკვლევარი აქ ამოსავლად მიიჩნევდა ეთნოსს ლეკი. ეგ გასაკვირი როდია, რადგან „საქართველოში ლეკიანობასა და ლეკებთან დაკავშირებით არაერთი ტოპონიმი დასტუდება... ეგვევ სატომო სახელი დაედო საფუძვლად შემდეგი ტოპონიმების სახელდებას: „ლეკის ბილიკი, ლეკის ხევი“ (მერაბ ბერიძე, მესხეთის ტოპონიმი სტრუქტურა-ისტორია, 2008, 131).

ოღონდ ეგ ნესი ყველა შემთხვევაზე ვერ გავრცელებდებოდა.

ამ მაგალითთან დაკავშირებით აკაკი შანიძემ განათვარა კიდევ უფრო გაბედული თვალსაზრისი: ყოფილა რაღაც მცენარე ლეკი, ხოლო ლეკნარი ისევეა ნაწარმოები, როგორც მუნარი, ვერხნარი, კოპიტნარი და მისთანანო. პროფ. ს. ჯიქია ამ აზრს დიდი სიმოწვევებით დაეთანხმა (III, 148).

ვფიქრობ, ორივე თვალსაზრისი მცდარია. ამაში გვარწმუნებს ის მეორადი გურული ტოპონიმი, რომელიც ურეკთან ახლო მდებარე ტერიტორიას გულისხმობს. გურიის ამ ადგილს, პატარა სოფლის ეწოდება ლეკიანი. შავიზღვისპირა ამ ადგილას არც თოფიანი ლეკი ყოფილა ოდესმე და არც რაიმე ლეკის ხე მდგარა. ოღონდ რითი გამოირ-

ნოვალ ბართია

მაგალი თოდუა და მიხეილ ქურდიანი

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში რექტორობის დროს, ბატონი მაგალი მიერ მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა შორის, ერთ-ერთი გახლდათ მიხეილ ქურდიანი.

მე და მიხეილი ქუთაისამდეც ვმეგობრობდით, ერთმანეთთან შეხვედრებიც არ გვიძვირდებოდა, მაგრამ ქუთაისში მთლად დაგვაახლოვა და გადგვაჯაჭვა ერთმანეთს. ხშირად ერთად ვმგზავრობდით თბილისი-ქუთაისის გზაზე. ბინაც ხომ ერთად გვქონდა უნივერსიტეტის სასტუმროში.

მიხეილი იყო მაღალი ინტელექტის მქონე, ენციკლოპედიურად განათლებული, ფეროვნალური ნიჭიერებისა და მეხსიერების მქონე ადამიანი, შემოკლებილი ორატორული ნიჭითა და არტიციზმით. მას თითქმის ყველაფერი ახსოვდა ზეპირად, რაც კი ოდესმე წაეკითხა, ნაკითხვით კი რა არ ჰქონდა ნაკითხული ქართულ თუ უცხო ენებზე.

მაგრამ მიხეილს არ ჰქონდა დაცული სამეცნიერო ხარისხი, იმ ერთი მიზეზის გამო, რომ ვერა და ვერ იცლიდა დისერტაციის გასაფორმებლად და მისი საბუთების თავმოსაყრელად. იგი ლაბორანტად იყო გაფორმებული სადღაც. მოწვეულ სპეციალისტს კი, სადოქტორო თუ არა, საკანდიდატო დისერტაცია მაინც უნდა ჰქონოდა დაცული.

მიუხედავად ამისა, მიხეილით მოხიბულმა უნივერსიტეტის რექტორმა მაგალი თოდუამ დახუჭა თვალი ყველაფერზე, წავიდა კანონის დარღვევაზე და მოიწვია მიხეილი უნივერსიტეტში, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე ლექტორად, რა თქმა უნდა, იმ იმედით, რომ იგი მალე დაიცავდა სამეცნიერო ხარისხს.

ბატონი მაგალი კი უფუცხუნებდა მიხეილს, დროზე წარედგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი დასაცავად. მიხეილიც, რა თქმა უნდა, პირობას დებდა და ამით თავდებოდა ყველაფერი.

ნათქვამია, არა შეჯდა მწყერი ხესაო და ბატონ მაგალის რომ არაფერი გამოუვიდა, გაბრაზებით, დაქაღნებით, მიიხრა: – უყურე, რა ვუქნა შენს მიშას!..

მიშას მიმართ რაღაც ავის მოლოდინში დაიწყო დღეების დენა. ნეტა რას უშაბდებს მეთქი „ჩემს მიშას“ ბატონი მაგალი ისეთს, ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ ვერც ბატონ მაგალის ვუბედავდი ჩაფიქობდი რამეში და ვერც მიშას ვიცავდი მოსალოდნელი საფრთხისგან.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი მაგალის ინიციატივით, რვა საუკუნის მერე, აღსდგა მკვდრეთით გელაიის მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთ წევრად და აკადემიკოს-მდივნად, სრულიად მოულოდნელად, ბატონმა მაგალიმ აირჩია და დანიშნა მიხეილ ქურდიანი.

ცოტა არ იყოს, კი გაგვიკვირდა ყველას – სად ეს ვინმე უხარისხო ლაბორანტი და სად აკადემიის წევრობა და აკადემიკოს-მდივნობაო, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო!

ნათქვამია, – ცხვარი ცხვარია, თუ გაბრაზდა ცხარეაო და გაბრაზდა „ცხვარიც“, რომელმაც ერთ თვეში მოუყარა თავი საჭირო დოკუმენტაციას და ბრწყინვალედ დაიცვა ხარისხი ლიტერატურათმცოდნეობაში.

ექყობა, წყენამ ასე ადვილად არ გაუარა მიშას და ისევ მოუყარა თავი საბუთებს და რამდენიმე თვეში მეორე დისერტაციაც მიაყოლა მას, ეს უკვე ზოგად ენათმეცნიერებაში.

არ ვიცი, რა ბრაზი ჩაიდო მიშამ გულში ისეთი, რომ მესამედაც მოაგროვა საბუთები, ეს უკვე მათემატიკაში დასაცავად, რომლის საპაუეროდ გატანას ირანში აპირებდა და რამდენჯერმე მომიწია კიდეც, მიშასა და ირანელებს შორის, ამ საკითხებთან დაკავშირებით, თარჯიმნობა.

საქმე საკმაოდ იყო ნასული წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, მიშას ვერ დასცალდა ხარისხის მესამედ დაცვა.

მოკლედ, პირნათლად შეასრულა ბატონმა მაგალიმ დანაქანებები. თავიდან, როცა მიხეილს ვახასიათებდი, ხაზი გაუსვი მის ფეროვნალურ მეხსიერებასა და ორატორულ ხელოვნებას. თითო მაგალითი ორივედან:

თბილისიდან ქუთაისში მივმგზავრებოდა მე, მიშა და ქალბატონი მაია ნათაძე. თავისუფლების მოედანზე შეხვედით ერთმანეთს. მიშას ჯენტლმენობაში ვინ დაასწრებდა, მონივნებით გაულო მსუბუქი ავტომანქანის წინა კარი ქალბატონ მაიას და, რომელიღაც რუსული ლექსის თანხლებით ჩასვა მანქანაში მშვენიერი არსება.

მოკლედ, დავიკავეთ ჩვენ-ჩვენი ადგილები და დავიძარით.

ვინც მიშას ახლოს იცნობდა, დამიჯერებს, ვინც არა – უნდა მენდოს. ქუთაისში ისე ჩავედით, მიშა არ გაჩერებულა. იგი რუსული პოეზიიდან გადავიდა ინგლისურზე, ინგლისურიდან – გერმანულზე, გერმანულიდან – ფრანგულზე, ფრანგულიდან – ბულგარულზე, ბულგარულიდან – უკრაინულზე, უკრაინულიდან – პოლონურზე, პოლონურიდან – ჩეხურზე... სადღაც, სურამთან კი მიადგა კავკასიურ ენებს, სადღაც უბისასთან ქართველურს და ქუთაისში ისე ჩავედით, ვინ იცის, რამდენი ლექსი დარჩა კიდეც არტიკულად ნასაკითხი.



დათ თუ არა ქართული. დაბოლოს. მიშას ჯენტლმენობით დავინწყით საუბარი და ასევე დავამთავრებთ: ერთხელ მე და მიშა თბილისში, უნივერსიტეტის ეზოში ვსეირნობთ. ნაცნობ-მეგობართა მეტს იქ რას ვნახავდით და მეგობარ ქალბატონთა ერთ ჯგუფს ვერ ავუარეთ გვერდი, რომლებიც ტკბილად ბაასობდნენ ერთმანეთში. მიშა მათ ასე მიესალმებოდა ლიმენტა:

– ერთადერთი ქვეყანაა საქართველო მთელ ქვეყანაზე, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე ოთხი ასეთი ლამაზი ქალი მოდისო.



მხიარული ავტობიოგრაფიული ნახანახატუბიდან

ქალბატონ მაიასთან ერთად არაერთხელ მიმგზავრია თბილისი-ქუთაისის გზაზე. იგი საოცრად განიცდის ბუნებას, წარამარა მიგახედებს აქეთ-იქით ასეთი სიტყვებით: – ნახე, რა ნეკერჩხალია; ნახე, რა ღრუბელია; ნახე, რა ფერებია...

ამჯერად კი, ისე ჩავედით ქუთაისში, ქალბატონ მაიას ერთხელაც ვერ მიეცა საშუალება, პოეტურ სტრიქონებს შორის, სადმე ჩაერთო თავის ემოცია.

ასევე, რა დამაინწყებს მიხეილის გამოსვლას ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე, თბილისში გაიხსნა საქართველოს მუსლიმთა სამმართველო – „ალ-ოლ-ბეითი“; სადაც პერიოდულად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. მე, როგორც აღმოსვლეთმცოდნე-ირანისტს, ურთიერთობა მაქვს ამ ორგანიზაციასთან, ვდებულობ მის კონფერენციებში მონაწილეობას.

მიხეილი, სხვა რელიგიებთან ერთად, სიღრმისეულად იცნობდა ისლამს და, მიუხედავად იმისა, აღმოსავლეთმცოდნე არ იყო, ვთხოვე, მონაწილეობა მიეღო მისი მორიგი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

და აი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, თბილისის, ორთაქალის უბანში, მდიდრულად მორთულ საკონფერენციო დარბაზში ვართ. სიტყვა მიეცა მიხეილ ქურდიანს.

მიხეილმა ჯერ დარბაზს მიმართა, თუ რა ენაზე გამოსულიყო – ქართულად, რუსულად თუ ინგლისურად.

– ქართულადო! – იყო პასუხი დარბაზიდან.

მიშა თბილისის ძველ უბანში ცხოვრობდა, სადაც მრავლად იყვნენ აზერბაიჯანელები, კარგად იცნობდა მათ და მოხსენებაც ამის გათვალისწინებით ააგო.

გამომსვლელმა პირველი სიტყვიდანვე მონუსხა დარბაზი. მიშას გამოსვლა მე არ გამკვირვებია, მაგრამ გაუკვირდა მათ, რომლებიც პირველად უსმენდნენ მის უკიდევანო ცოდნით დახუნძლულ, არტიკულიზმითა და მაღალი ორატორული ხელოვნებით გაჯერებულ გამოსვლას. დარწმუნებულ ვარ, იმ დღეს ისლამზე ბევრი რამ გაიგეს ახალი, იქ მყოფმა მაღალი იერარქიისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე თეოლოგებმაც კი.

დაამთავრა მიშამ გამოსვლა და ტაშით ნამოიშალა მთელი დარბაზი. ჯერ კიდეც არ დამცხრალიყო ტაში, რომ ერთ-ერთმა ქალბატონმა რუსულად წამოიძახა: მართალია, მე ქართველი არა ვარ და ქართული არ ვიცი, მაგრამ ასეთი შინაარსიანი და ორატორული გამოსვლა ჯერ არ მომიხმენიაო!

მას სიტყვა მეორე ქალბატონმა წაართვა: – მე ქართველი არა ვარ, აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ ვიცი ქართული და ასეთი ლექცია ისლამზე, ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ურთიერთობაზე, ჯერ არ მომიხმენია, ეს მოხსენება კი არა, ეს საოცრება იყო!

დაიხა, იმ დღეს მიშამ თავისი გამოსვლით, ერთხანად დაახვია თავბრუ ყველას, ესმო-

ჯემალ აჯიაშვილი



ჯემალმა და მე მისაღებ გამოცდებზე გავიცანით ერთმანეთი. ჩვენ დავამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ირანული ფილოლოგიის განხრით. მოყოლებული იქიდან, მთელი ცხოვრება მოვიდოდით მხარდამხარ, როგორც მეგობრები. მეგობრობა კი სანატრელი იცოდა.

ლექსის ვარდა სასაუბრო თემა თითქმის არც გვექონია. საიდან რა ლექსს, ან რა პოეტურ სტრიქონს, ან რა მხატვრულ სახეს არ გამოჩნდებოდა. სიტყვათა ძიებაში დატოვებული არ ჰქონდა ძველი ქართული ლიტერატურის თითქმის არცერთი ტექსტი. შეხვედრისას სახეზე ვატყობდი, როცა ახალი რაღაც ჰქონდა აღმოჩენილი: – აი, რა სიტყვაა, აი, რა შედარებაა, აი, რა მეტაფორაა, აი, რა ფრაზაა, აი, რა პოეტური სახეაო... მახარებდა გახარებულნი. მაშინ საღამო-ქალამი არც ახსოვდა. რამდენი რამ შევიძინე მისგან.

ჯემალი თავიდანვე სიახლეებისკენ მიისწრაფოდა, რამაც მიყვანა იგი თანამედროვე სპარსულ პოეზიაში სიახლის შემომტან, სპარსული ლექსის რეფორმატორ – ნიმა იუშიჯის შემოქმედებასთან.

მახსოვს, ჯემალი მესამე კურსზე იყო. იგი ნიშნავდა ერთ ლექსს თარგმნიდა. რა დამაინწყებს, როგორ დაჰკანკალედა კარგა ხანს მის ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას, ყოველ ტაქტს. ათასჯერ ამოწმებდა სხვადასხვა ლექსიკონებში სიტყვის ყოველ ნიშანს. აინტერესებდა ჩემი აზრიც. როგორც იქნა, ჩასწავდა ბოლოს და ბოლოს ლექსის სულს, გააკეთა მისი პნკარედული თარგმანი და წამაკითხა.

თარგმანს წუნს ვერ დაუდებდი, შეიძლება ითქვას, სიტყვა სიტყვაში იჯდა, თან ტექსტი ენობრივად იმდენად იყო გამართული, რომ მკითხველისთვის იმ სახითაც მისი მიწოდება თავისუფლად შეიძლებოდა.

გავიდა გარკვეული ხანი და ჯემალი მიკითხავს ამ ლექსის მხატვრულ თარგმანს.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ჯემალს იმდენი ჯაფა ჰქონდა განუული ამ ლექსის პნკარედულად თარგმანზე, რომ ნაკლებად წარმოგედგინა, თუ რაიმეს ადვილად შეელოდა მასში.

ამ განწყობაზე მყოფს, წამიერად მომეჩვენა კიდეც, რომ თარგმანი დაშორებული იყო დედანს, მაგრამ... ეს მხოლოდ წამიერად...

ჯემალი იუმორით სავეს იყო და ხუმრობით ვუთხარი – ჯემალ, ეს რა გქვია, ახალი ლექსის დანერგა თუ აპირებდი, რას დააკალი თავი მის პნკარედულად თარგმანსა-მეთქი! – რაზედაც ჩვეული გულბანი სიცილით გამცა პასუხი.

იმ თარგმანს ნიშნავს სხვა ლექსების თარგმნებიც მოჰყვა, თარგმანებს – გამოკვლევა ნიმა იუშიჯისა და თანამედროვე სპარსულ ლექსზე. ყველაფერმა ერთად კი, საბოლოოდ, შესანიშნავი საკურსო ნაშრომის სახე მიიღო.

მე და ჯემალს, წლების განმავლობაში, ერთადვე გვიმუშავია ულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც იგი განაგებდა აღმოსავლური ენების განყოფილებას. თანამშრომლები კი მას აღვიქვამდით არა როგორც განყოფილების გამგეს, არამედ, როგორც მეგობარს.

საერთოდ, უბრალოება ჯემალის ბუნება იყო. იგი არაერთხელ იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს დესპანი ისრაელში, ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე... თუმცა, მისგან ვერც კი იგრძნობდი თუ რაიმე თანამდებობასთან ჰქონდა შეხება.

ირანშიც ვყოფილვართ ერთად ერთი წელი. მაშინ საბჭოთა კავშირი მეტალურგიულ ქარხანას უშენებდა ირანს ისპაჰანთან ახლოს და ჩვენ, როგორც საბჭოთა სპეციალისტები, მივლინებული ვიყავით იქ სპარსული ენის თარჯიმნად. ორივეს, ისპაჰანში, საბჭოთა სპეციალისტებისთვის გამოყოფილ სასტუმროში, ერთმანეთის გვერდით გვექონდა ბინა.

ჯემალი იქაც ის ჯემალი იყო, როგორც აქ – ყველასათვის საყვარელი...
რა დამაინწყებს, შემოდგომა იყო, ჯემალმა მიიხრა:

– მოდი, ღვინო დავწუროთო! – რას ამბობ, ჯემალ. აბა, სასტუმროს პირობებში ეს როგორ გამოვა-მეთქი!

– ნუ გეშინია, მალე არიაშაპურში (ქარხნის სპეციალისტებისთვის ახლადშენებულ ქალაქში) მომიწევს გადასვლა, ფართი საკმაო მექნება და იქ დავწუროთო.

მაშინ ირანში სასამელი აკრძალული არ იყო და მოგეტაცა ღვინო, ჩვენ რომ იქ ღვინო დავწურეთ... ქინელსავით გვეხვეოდა კარგა ხანს მთელი არიაშაპური.

თბილისში ორივენი ახლადწამოსული ვიყავით. ჯემალს უკვე მოესწრო მწერალთა სასახლისკენ გზის გაგნება და ცოცხალ კლასიკოსთა ერთ-ერთ შეკრებაზეც ფეხის ცეცებით შესვლა, საიდანაც გაბრუნებული გამოსული, მახსოვს, როგორ მიყვებოდა იმ მღვლეარე წამებზე.

გარდაცვალების მერე, ისრაელის წმინდა მიწას მიბარებულ ჯემალს, ქართველმა ხალხმა სწორედ ამ სასახლეში გადაუხადა პანაშვიდი, როგორც თავის საყვარელ შვილს.

სწორედ ქართველ მწერალთა საუფლოში იტრიალებს მისი სული მარადიულად.

ქართველ ხალხს როდის არ უყვარდა ებრაელი ხალხი, მაგრამ ჯემალ აჯიაშვილმა, ებრაული პოეზიის თავისი უპაპროვანესი თარგმანებით, კიდეც უფრო საყვარელი გახადა ებრაელი ხალხი ქართველი ხალხისთვის.

ბოლო წუთებამდე ვაგრძელებდით ჯემალი და მე სტუდენტობიდან მოყოლებულ საუბრებს, ისევ და ისევ პოეზიაზე.

პოეზიით გაბრუნებული შეუერთდა ჯემალის სული მარადისობას.

გავრძელება იქნება

ზელიხან პალაკი (გაცნობა)

ავტორისაგან:

... მე, იშვიათად, მაგრამ, ზოგჯერ, მაინც მიჭირს ურთიერთობა მომავალ თაობასთან, ისევე, როგორც მამაჩემს უჭირდა ჩემთან საერთო ენის გამოწახვა; თუმცა, მისი სიკვდილის შემდეგ, იგი იქცა იმ ქედად, იმ გორის ფხად, რომელიც აღიმართა პორიზონტზე და ქარიშხლისგან მიცავს, სადაც ზომიერად აღწევს მზის სხივები და რომ არ დამწვას, თავშესაფარს მაინც მამაჩემის ფრთის ქვეშ ვეძებ. ზოგჯერ მისი სული ნიადაგით დაუბერავს და ღრუბელსაც მოიტანს. მერე, ისევ მანვე რომ გაფანტოს და ღირსეულ ადამიანთა მიჩქმალულ ისტორიას ფერფლი მოაშოროს და დაბინდულ გონებაში სინათლემ დაისადგუროს, რათა შევიგრძნო რაოდენ მშვენიერია თავისუფალი ადამიანი, აღმოვადგება ხოლმე: „მამა, შენ ყოველთვის მართალი იყავი!!!“

მერე, ჩვენი შვილებიც მივლენ ამ დასკვნამდე, რათა აღიარონ, რაოდენ ძვირფასია წარსული ჩარჩენილი „მე“, რომელიც, ამავედროულად, პაპის პაპის, პაპა ჩემი...

მხოლოდ სულელს ჰგონია, რომ ხატი, ხატ-მწერისთვის ხელობა მხოლოდ და არა რწმენა, მაშინ არც მისი ქმნილება იქნებოდა მისი მუხი...

ანევა და კვლავ ქანაობა დაიწყო, მერე კიდევ ერთხელ გამოქვაბულის ძირზე აირეკლა ფეხები და გამოქვაბულში შესხა. ყველას რღაცა



ძახილი აღმოხდა, მე ტანში გამაჟრჭოლა. ცოტა ხანში გადმოვვძახა, - თოკზე ნიჩაბი მოაბითო. ვილაცამ იქვე მიყუდებული ნიჩაბი ჩაუბა, მე ხელი დავტაცე ჩემს მოკლეთარიან ნიჩაბს და

დღეა და ხელი მაგრად ჩამომართვა. კაბინიდან თუშისქუდიანი გადმოვიდა და შემომთავაზა, კაბინაში ავსულიყავი. აბა, ამას როგორ დავუშვებდი, მყისვე ძარაზე ავძვერი.

ძარაზე ჩემთან ერთად თუშის ქუდიანიც ამოვიდა.

- აბა, „მოქალაქე“, ჩვენ, მგონი, უკვე ვიცნობთ ერთმანეთს. შენზე ამბობენ, კარგად იცის თმოგვის ბილიკები და მისადგომები. თუ ასეა, დღეს ჩვენი მეგზური იქნები და ეს ორი ყაზახი ყველაფერში შენ დაგემორჩილებით. ახლა გაგვიძებ და გვაჩვენე! როგორ ფიქრობ, საიდან სვლავს დაგინოთ? - მომმართა როგორც დიდი ხნის ნაცნობმა და თანატოლმა, თან მხარზე გადამხვია ხელი. მე მძლოლს გავძახე, რომ გამოვსა, თმოგვის თავთან გაეჩერებინა მანქანა და დავიძარი.

მანქანას ძველი თმოგვისკენ ჩამავალ სამანქანო გზაზე ჩავუძეხი და იქ, სადაც დიდი ლოდის ქვეშ სამკურნალო წყალი გამოდის, მის თავზე გავაჩერეთ.

- ეს სააბაზანე ქვაბული, რომელიც ამ კლდის თავზეა გამოკვეთილი, პაპაჩემის მამის - ლუკას გამოკვეთილია! - სიამაყით წარმოვთქვი და თითო ლოდისკენ გავიშვირე, - აქ სახსრების ტკივილისგან იკურნებიან ჩვენებურები...

- დალევა თუ შეიძლება ამ წყლის? - მკითხა თუშისქუდიანმა. მეორე თანამგზავრი მონუსხულივით დუმდა და წყალგაღმა კლდეებისკენ ეჭირა თვალი. მას შემდეგ, რაც წყლის გემო გაიგეს, ქამარზე გამობმული მათარები მოიხსნეს, წყალი დაცალეს და სამკურნალო წყლით

თებდა გზას. ბოლოს ჩამონგრეულ ადგილამდე მივედი, სადაც პატარა გადასაძრომილა იყო. იქ სულ პატარა სივრცეა. მე ხვრელში ძლივს გავეტიე. მათ საზომი მომცეს და იქიდან გვირავის ზომებს ვკარნახობდი. სიცივემ ამიტანა და ტურები მიკანკალედა. ამ გაგანია სიცხეში, რომელიც მაღლა სუფევდა, ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ ახლა მზეს ვინატრებდი. მაღლა როგორც კი ამოვედი, ცხელ ქვაზე გავიშოტე და თვალზე დავხუჭე. თევზის კონსერვის მძაფრმა სუნმა გამომავიხილა. იქვე, გამოქვაბულში, ლოდზე, სუფრა გაეშალათ, მეც ჩემი საგზალი შევმატე. მე ქალაქურ პურს დაეცაღე, ისინი - დედაჩემის გამომცხვარს. და, აი, პირველი საღებავრქელიც, რომელიც ძია კოტემ შემოგვთავაზა:

- მოდი, აქ, ამ ციხის დასაცავად დაღვრილ სისხლს მივაგოთ პატივი და ფეხზე წამოვუდგეთ იმ გმირებს, ვისი სიცოცხლეც გვმართებს, აქ, ყოველი გოჯი მინისა, სისხლითაა მორწყული და მოწინებამ გვმართებს ჩვენი გმირებისა და ამ მინისა. - თქვა და რკინის ემალირებულ საფლით არაყი ერთი გადაკვრივით დალია.

- ეჰ, - დინჯად წარმოთქვა ძია ლევანმა, - აქ, მეცხოვრის სისხლთან ერთად, მონური სისხლი, ცრემლი და ოფლი უფრო მეტია დაღვრილი, ვიდრე მეომრისა. მათი საჭრეთელი უფრო ბასრი იარაღი ყოფილა, ვიდრე ხმალი, რადგან ციხეს შეიზნული მეომარი არცთუ ისეთი რაინდია, როგორც ბრძოლის ველზე მონავარდე. ეს კედლები კი, უბრალო ხალხის ოფლითა და სისხ-

გზააასოპის წიგნი

ერთი ფეხის ნამოკვრიტ პირქვე მოამხო წყლით სავსე ჭურჭელი მოხუცმა და გაგანია სიცხეში სამხრად დამსხდარი მუშები სახტად დაფრით. ვანის ქვაბების მონასტრიდან წყარომდე, წყლის მოსატანად, სულ ცოტა ხუთასი მეტრი უნდა გავგველო, ჯერ დაღმართი და მერე უკან. ამ თაკარა მზის ქვეშ, წყლით სავსე ჭურჭლის აღმართში ზიდავა, არ იყო დიდად სახარბიელო სამუშაო; ამას ისევ გვერჩინვა წერაქვით მინის თხრა და შემდეგ საზიდართი ზიდავა. ყველაზე უმცროსი მე ვიყავი, უთქმელად ნამოვავლე ხელი ვედროს და დაღმართზე დავეშვი.

წყაროსთავზე, ორი შუახანს გადაცილებული მამაკაცი დამხვდა, ერთი თუშური ქუდი, ხოლო მეორე თავშიშველა. სახით თმოგვის ციხეს გაჰყურებდნენ და რღაცაზე არცთუ ისე მშვიდად საუბრობდნენ. მე მივსალამე, კლდის ქვეშა ღრმულიდან ნახევრად დაჟანგული კონსერვის ქილა გამოვიდე და სანამ წყლის ავსებას დავიწყებდი, წყლით სავსე ქილა გავუწოდე. წყალი თუშისქუდიანმა ჩამომართვა. დალია, დარჩენილი წყალი ჯერ ხელისგულზე დაისხა, შემდეგ სახეზე და კისერზე შეისხა და უკან დაიბრუნა. მეორემ წყალზე უარი მითხრა. სადაურობა მკითხეს და მერე გვართი დაინტერესდნენ, როცა გაიგეს არქეოლოგიურ გათხრებზე ვმუშაობდი, გაიკვირეს (მე მაშინ 13 წლის ვიყავი და, ალბათ, ამის გამო) და გაიხარეს კიდევ. მე წყალი ავაჯე და ჩქარი ნაბიჯით ავუყვიე გზას.

ჩვენ უკვე ვმუშაობდით, როცა ჩემი ახლადგაცნობილი მამაკაცები ამოვიდნენ. ჩანდა ისინი უბრალო ხალხი არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან არქეოლოგები დიდის მონივნებით დახედნენ მოსულთ. ცოტაოდენი თათბირის შემდეგ მათ ერთი გოგამწელი ბიჭი გაიყოლეს და ვანის ქვაბების შუაში ჩამოვავალ ვინრო და არც თუ ისე უხიფათო ხევი გაუჩინარდნენ. ერთი საათიც არ გასულა და მონასტერს კლდის თავზე წამოადგნენ. თუშისქუდიანმა კანაფის ხეული მოიქნია და ჩვენ ყველამ დავინახეთ თუ როგორ გაიშალა და ძირს დაეწარცხა მისი ერთი ბოლო. მერე ნელ-ნელა აითრეს და გვერდზე გადასწიეს, ზუსტად იქ, სადაც ეული, სრულიად მიუდგომელი გამოქვაბულია შემორჩენილი, რომელსაც კლდე ქუდივით ნამოჭვარებია და სრულიად მიუდგომელია. ახლა კი მივხვდით ყველანი თუ რა იყო ამ ხალხის ჩამოსვლის მიზეზი და მათი შემდგომი მოქმედების მოლოდინში გავიჩინეთ...

მას შემდეგ ორმოცდაათ წელზე მეტი დრო გავიდა, ის, რაც მაშინ ვნახე, ამის გახსენებაზე დღესაც ისევ ისე მითრთის გული, როგორც მაშინ; მთავსვლელი ჩვენგან ზურგიით შეტრიალდა, პირით კი კლდისკენ, მერე თოკი დაჭიმა და გადმოიხარა, ჩაიშხლა, ახტა და თოკზე ჩამოსრიალდა, ფეხებით ოსტატურად კლდეზე დახტა, კვლავ აირეკლა ტანი და ზედ ქუდივით გადმოფარებულ კლდის თხემზე გაჩერდა. აქედან კი ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოყვავა კლდეს ისე, რომ თვითონ კლდეზე პერპენდიკულარულად იდგა, სახით კი ზეცას გაჰყურებდა და ასე უკანა სვლით მოაბიჯებდა ქვემოთ. კლდე ღრმავდებოდა და, ბოლოს, მხოლოდ თოკის ანაბარდა დარჩა. მასსოვს, მოხუცი მუშები როგორ უქებდნენ ოსტატობას... როცა გამოქვაბულს გაუსწორდა, ქანაობა დაიწყო, მაგრამ მალევე გაჩერდა. თითქმის ნახევარი მეტრით მოხუცდა თოკზე

თოკთან გავჩნდი, საქმიანი იერით თოკს დავუნყე გახსნა რაზეც მოხუცების უმცაოფილება დავიმსახურე.

- მართალია ეგ ბიჭი, ნიჩაბი მოკლე ტარით უნდა იყოს, რომ აქ მოხერხებულად ვიმუშაო! - გადმოსძახა მთავსვლელმა და თოკის აკეცვა დაიწყო.

ქვეყანა ჩემი მეგონა, ო, როგორ მინდოდა იმ თოკს ჩაეჭოდნო და ავცილებულიყავი ჩემს მაქებართთან, ან, უბრალოდ, მის გვერდში ვემუშავა ჩემივე ნიჩაბით. ცოტა ხანში გამოქვაბულიდან მინის გადმოყრა დაიწყო. მინა, რომელიც ჰაერშივე მტვრად იქცა და მხოლოდ ექნებებია დავარდა ლოდზე. ჩვენ ყველანი გავიკრიფეთ სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, გამოქვაბულების წინ და იქიდან ვადევნებდით თვალყურს მთავსვლელის მუშაობას. ბერიკაცებმა თუთუნის გააბოლეს...

- აქ არაფერია საინტერესო! - გადმოვძახა ბოლოს მთავსვლელმა, რომელიც მტვერში თითქმის აღარ სჩანდა - ტყუილი მცდელობა



იყო! ორივე მთავსვლელი ელვის სისწრაფით ჩამოსრიალდა თოკზე და ჩვენც მუშაობა გავაგრძელეთ.

ლამე თითქმის არ მძინებია; კლდეზე გამოკიდებული ხან რომელ მზეთუნახავს ვშველოდი გასაჭირში და ხან ათასნაირ საგმირო საქმეს ჩავდიოდი. დილით კი, დათქმულ დროს, უკვე მანქანის ძარაზე ვიყავი ნამოსკუპებული და ველოდი ხალხის შეროვებას.

ის იყო მანქანიდან ჩამოვხტი და, ორმოცი-ოდე მეტრზე არ მქონდა გარბენილი, რომ დამიძახეს... - ავთანდილ ვართავავა მეძახდა. მყისვე მასთან გავჩნდი.

- შენ ჩემთან დარჩი, სხვა საქმე გექნება დღეს. ამ საქმეს შენს მეტს ვერავის ვანდობ, - მითხრა და იქვე ბალახზე დაჯდომა შემომთავაზა. სხვა დანარჩენები ხეობაში გაუჩინარდნენ. მანქანა ვარძიანი წავიდა და სულ ცოტა ხანში მთავსვლელთან ერთად მობრუნდა.

ავსეს. მტკვარს დავუყვიე და ნასოფლარი თმოგვის წინ, სადაც მტკვარი ვანიერ კალაპოტში მიედინება, იქ შევუძეხი მდინარეში. სტუმრები უთქმელად შემომყენნენ. ნაპირზე გავედით თუ არა, იქვე, თუთის ხის ძირში, ქვაზე გავფინე თუ რამე დამსველებოდა და თუთის ხეზე ავძვერი. ცოტა ხანში მთავსვლელიც მოვიდნენ. ცხელ ქვაზე ჩამოვჯექით და ასე გავიცანი კონსტანტინე (კოტე) ჯავროვილი და ლევან გოთუა.

მსვლელობა ნასოფლარიდან დავიწყეთ, მერე ციხის გამოქვაბულზე გადავედით და აღმოვჩნდით იქ, სადაც, ციხის თავიდან დასავლეთით გვირავი ჩამოდის. თუმცა კლდის ქვედა მონაკვეთი მინისქერისგანაა ჩამონგრეული და გვირავი აქ წყდება, მაგრამ მას გაგრძელება აქვს და მე მივიყვანე ისინი იქ, სადაც ეს გვირავი დაღმა ეშვება.

დაახლოებით სამოცდათხუთმეტ საფეხურს რომ გაივლი, გვირავი, მერე ოდნავ დახრით მიდის მტკვრის მიმართულებით; გვირავში, ფეხქვეშ, წყალი თანდათან მატულობდა, რომელიც

ლითაა აშენებული. რომ შეაერთო, აქაურობას წალეკავდა ალბათ. გვირავიდან კლდის ნამტვრევებთან ერთად წვეთ-წვეთად ადამიანის სულის და ხორცის ნაწილი თან გამოჰქონდათ. აი აქ იყრებოდა მტკვარში და წყალს მიჰქონდა. მონობისგან გამოწვეულ ბოლმასაც თან ატანდა ამ წყალს, მაგრამ ბორკილი ვერ გაეტანებდა მტკვრისთვის, ბორკილი, რომელიც მონობას ტყვეობადაც აქცევდა. ადამიანში მთავარი რომ იყო მოკლული უდნოდ და სისხლის ნიღ სულიდან გადმონთხეული, სისხლისმგაიერი რღაცა რომ მოედინებოდა და ამ იარაზე ისევ წამლად ედებოდა ის, რასაც მოთმინება ჰქვია... მზეს რომ თვალს ვერ უსწორებ და მინიც მზე გიზიდავს, მხოლოდ მისი ხილვალა დაგრჩენია სანუ-გემოდ. მერე ამ ნამოღვანარს, გინდაც გამარჯვებას, ვილაცა თავისად რომ მიითვლის, სადალა მონის სახელი, იმასაც რომ წყალს გაატან, სწორედ ეს უმადურობა დააქცევს ციხესაც და ქვეყანასაც. მე რომ მკითხო, მათი საფლავებია საძებნი. სწორედ რომ ამ უმადურობისთვის შესანდობარის თქმამა ჩვენი უბედურების გამოსავალიც... - თქვა ძია ლევანმა. სანამ დალევდა, კარგა ხანს დუმდა. მერე ძია კოტეს გადახვდა და გაუღიმა. რომ დალია, გადმოხვდა და თვალი ჩამიკრა.

აბა, მაშინ, ცამეტი წლის ბიჭმა რა ვიციოდი, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ვისთანაც მე ვიჯექი და პური გავტებე, რა ცოდნა და განათლებას დაატარებდნენ, რა ჭირ-ვარამი ჰქონდათ გადატანილი რუსეთის ცივ ტრამალებში, ტყვეობისას. რა ჯოჯოხეთი გადაიტანეს და რამდენ დამცირებას გაუძლეს იქაურ, საბჭოურ საკონცეტრაციო ბანაკში. მე ზედმა მარგუზა მთელი ჩემი ყმანვილკაცობა და შეგნებული ცხოვრება, ჯავროვილებთან მეცხოვრა და დიდი პატივი მერგო წილად მომესმინა ის, თუ რა კევრმა გადაიარა მათ თავზე...

საუზმის შემდეგ ხელმეორედ გამოვტოპეთ წყალი ციხიდან, გამოვსა მხარეს, გზის ქვეშ, კლდეში რომ მთელი კომპლექსია გამოქვაბულების, რომელსაც მტკვარი კალთას ულოკავს. მე აქ იქამდე არ ვიყავი ნამყოფი.

აუარებელი ლაშურა დავგვხვდა გამოქვაბულში, ჩურჩხელებით რომ იყვნენ ჩამოკიდებულნი. როგორც მძინარე ბავშვს, ისეთივე ფეხაკრეფით აუარეთ გვერდი ლაშურებს და გამოქვაბულების სიღრმეში გაუჩინარდით. აქედან მრავალი ფოტოსურათი გადაუღეს თმოგვის ციხეს. ავზომეთ გამოქვაბულები და კვლავ მტკვარი გამოვტოპეთ. ახლა, ციხის შუაგულზე რომ გვირავი ჩამოდის მტკვარში, იმ კიბეებს მივაშურეთ და ცოტა ხანში თაკარა მზეს, უკვე ნახევრად დაწვრილი გვირავის ქვეშ, კიბეებზე შევაფარეთ თავი. ძია კოტე თითქმის ყოველ მერე ქვას ხელში იღებდა, მთავსვლელის ჩაქუჩს დაარტყამდა, გადატყავდა, ინტერესით დააკვირდებოდა და მერე გადაადგებდა. იშვიათად რღაცას თუ ჩაინიშნავდა რვეულში.

წმ. მარინეს ეკლესიის საკურთხეველი რომ ნახეს, გაოგნდნენ, - ძალიან მოიხიბლნენ ფრესკის ფერებით, მაგრამ მასზე ნაჯღაბნებმა უსაზღვროდ დაამწურა ორივე. მე სრული სიხუსტით ამოვიწერე ქართულ-რუსული წარწერები, ხოლო სომხური - გადავინახე. იმ შემთხვევაშივე რაიონულ გაზეთში გამოვაქვეყნე კრიტიკული წერილი, რის გამოც ერთი ჩემი თანასოფლელი ძალიან დიდხანს არ მელაპარაკებოდა.





თითქმის ორი საათი ვისხედით ფრიალო კლდის გადმოსახედის თავზე, დაბლიდან საამო ნიაგი ჰქროდა. მე დამძინებოდა. როცა გამეღვიძა, შავი ღრუბელი წამოგვწოლოდა თავზე, ორივე სტუმარი რაღაცას იწერდა. მიაღწევეთ გარშემო მთა-გორის სახელები მკითხა, სოფელ დამკალზე გავრცელებული ლეგენდაც მოგუყვივი, ახლა ჭაჭკარზე მკითხა... ჩემმა „განსწავლულობამ“ გააკვირვა...

ვარძის მხრიდან მოსული ავდარი არაა კარგი, - ჩაივლიაპარაკე და სტუმრებს ახლა მარჯვენა მხრიდან კლდეზე ჩასასვლელი გვირახისკენ გავუძეხი. ძლივს შევასწარი გვირახში და სტეფანოც წამოვიდა. ჯერ მსხვილი, მერე მოუწერილა და ისეთი თქეში დასცხო, რომ გვირახში გავილაგეთ, რათა მოვარდნილი წყალ-ყინული გაგვეტარებინა. მე მათზე უფრო ფეფქრობდი, რადგან მათ განაზებულ ქალაქლებად აღიქვამდი, ისინი კი ჩემზე წუხდნენ. როცა წყალმა იმატა, შევძინდი. შევეცადე მაღლა ავსულიყავი, საიდანაც სხვა გამოქვაბულში შეიძლებოდა გადასვლა. ორიოდ ნახევრის გადადგმა ძლივს მოვასწარი, რომ უცებ გვირახის თავზე განათდა და დაიჭექა. სულ ახლოს, სადაც, მები ჩამოვარდა. აშკარად რაღაცა ელექტრონული მუხტის ძალით წავიქეცი და წყალმა თითქმის ორი მეტრით დაბლა ჩამომაცურა, სადაც მიაკოტეს გამოწვდილი ხელი დამხვდა. აი მაშინ მივხვდი, რა ყოფილა თავზარდაცემა... როგორც იქნა გამოიძრა. ზევით ასვლას ისევ გვირახით ჩასვლა ვარჩიეთ. გვირახი, როგორც იქნა, ჩავათავეთ, თუმცა ბოლომდე ჩასვლას აზრი აღარ ჰქონდა. მარცხნივ კლდის თავზე გავუხვიეთ და სამშვიდობოს გავედით. სტეფანოცა და ყინულის გროვებში მუხლებამდე ჩავივალთ, გვერდით კლდიდან ქვა ჩამოვარდა, სტუმრები შეყოვნდნენ, ჩემთვის კარგად იყო ცნობილი ეს ჩასასვლელი, წინ არც მინა პატივს კლდე იყო და სამშვიდობოს გავიდოდით. ძალიან მაღე უკვე სასურველი ბილიკით ვბრუნდებოდით ვარძაში. იქ მივიღე სანუკვარი და საოცნებო საჩუქარი სახათი - გამადიდებელი შუში, თითქმის ჯილდოს გადმომცემდნენ, საზეიმო ვითარებაში.

მეორე დღეს სამუშაოდან პირდაპირ ჩვენს ბაღში შევიარე, იქ პაპაჩემი მეგულეობდა, რომელსაც ვეზმარებოდი ხოლმე თუ რამე ჰქონდა წამოსაღები და, რას ვხედავ, გადაკაფულ ძეწის ხის ჩრდილში მოკალათებულან პაპაჩემი, მიაკოტე და ლევან გოთუა. წინ პაპაჩემი ხის სკამზე ძალზე მოკრძალებული სუფრა აქეთ გაშლილი: ნახევრად მწიფე პამიდორი, რომელიც ვარდნა მწვანეა, შიგნით კი, ვარდისფერი, ყველი, პური, მწვანეა, რაც კი ჩვენს ბაღში მოიპოვებოდა ყველაფერი და არაყი. მისვლისთანავე პაპაჩემმა ლიტრიანი (კვარტიანი) ბოთლი გამომწირა და იქვე ელიოზა პაპასთან გამაგზავნა, - უთხარი, ოთხი წლის წინ წინდელი თუთის არაყი რომ აქვს, ის გამოგატანოს, - თან დაამატა - გაიქეცი, არ დაგავიანო.

მე, ისედაც, მხოლოდ სირბილით დავდიოდი. წინა ბებომ არაყს მწნილეულიც მიამატა და, მერე, ცოტა ხანში, თვითონაც ერბოკვერცხიანი ტაფით მოგაკვიტა.

პაპა დიდის გატაცებით ჰყვებოდა თმოგვის ციხის და სოფელ დამკალის ისტორიას, არა იმას, რომელიც გავრცელებული იყო ჩვენს მხარეში, არამედ სულ სხვას. დაღამებამდე იქ ვიჯექით, კარგა შესამჩნევად შეთრუნენ. მერე ესპანელიცის მანქანამ მოაკითხა და მე დიდებული ადამიანები აღარ მინახავს. სკოლაში ლიტერატურის მასწავლებელს რომ ვუთხარი - ლევან გოთუას კარგად ვიცნობ და ჩვენთან ბაღში მე და პაპამ ვუმაპსინძელით - მეთქი, სასცელილოდ არ ეყო.

ჩვენი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. მე ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისაც არ ვიყავი, როცა ლინა ბეგიშვილმა - ავთანდილ ვართავას მუელემ მე და კოტე ჯავრიშვილის გერმა, რომელიც მიაკოტემ შეიღოთ გაზარდა - თბილისში წამომიყვანეს.

და აი, ფურცელაძის 16 ნომერში კარი მე და ლინას, ლინას დედამ - თინა ავალიანმა გაგვიღო. თავიდან ფეხებამდე რომ შემთავალიერა, ლინას ჰკითხა: - „ეს არისო?“ - დარბაზის კარებში მიაკოტე გამოვინდა და თავისი მშვიდი ლიმილით მომეკალა. მივხვდი, რომ გველოდნენ, რადგან სუფრა გაშლილი იყო. ლინა ფეხმძიმედაა, ამიტომ მისი შეილი, სამი წლის არაკლი, მე მიჭირავს, რომელიც „ძალიან“ გუნებავს და მიაკოტესთან არ უნდა მისვლა. მე დივანზე დავსვი, მებლაუჭება, არ უნდა უჩემოდ და ამ დროს შეჰკვილა. პიჯაკის საყელოზე სტალინის გამოსახულებით სამკერდე ნიშანი რომ მიკეთა, იმის სამაგრმა ხელზე უჩხვლიტა.

- გე რა არის? - მკითხა მიაკოტემ და სამკერდე ნიშანს დააქკერდა.

მე სიამაყით მივუშვიე მკერდი, რათა უფრო კარგად დაეინახა თუ რა მიკეთა.

- მოგონის? - ჯერ ჩამეკითხა და მერე დაამატა - მოქალაქეც, ეგ კაცი?

ეს სამკერდე ნიშანი ჩემი უფროსი ძმის - გერონტის თანაკლასელმა, თენგიზ თედორაძემ მომცა რაღაცის ფასად და, მასხოვს, როგორი გახარებული ვიყავი. მერე ერთმა ჩუმად მომიხსნა პიჯაკიდან და ისიც მასხოვს, თუ როგორ დავუნახე ცხვირი, აქ კი მრავალმნიშვნელოვანი კითხვით მომმართავენ: - „მოგონის, ეგ კაცი?“

- პაპაჩემს უკიდია მისი სურათი და, მგონი, არ უნდა იყოს ცუდი, - სრული გულწრფელობით ვუპასუხე მიაკოტეს და დაეინახე მისი მომღიმარი

სახე როგორ მოიღუპა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩემი აღზრდა ლინამ იტვირთა. პირველი, რაც მომასმენინა, იყო რახმანინოვის მეორე კონცერტი, მერე ბახის „რე-მინორი“ და ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“. ნასაკითხად მომცა გურამ რჩეულიშვილის წიგნი და მასზე მიყვებოდა მრავალ ამბებს. ალტაცუბულმა, მისი საგმირი თავგადასავლებით, გულუბრყვილოდ ვკითხე:

- ასეთ რაინდს რატომ გაეყარე, ავთანდილი შეგიყვარდა? - ვიგრძენი რა სულელური კითხვა დაეწივს, მაგრამ გვიანდა იყო... არც არა მიპასუხა დივანზე წამოწვა და მისი დაღუპვის ამბავი სულ წერილობაში მომიყვა. მე ცრემლები დაპალუბით ჩამომიღოდა. თავისთან მიმიხმო, მიმიზდა, ხელი მომხვია და მაღლობა, - მითხრა. მას დიდხანს არ უცოცხლია, ოქტომბრის ბოლოს მშობიარობას გადაჰყვა. ამ დიდებულმა ქალბატონმა ორ თვეში მოასწრა და მომიყვა თითქმის ყველაფერი მიაკოტეზე თუ როგორი მთაველი იყო, როგორ დადიოდა ალექსანდრე და ალექსანდრა ჯავრიშვილთან ერთად მთაში, რომ იგი იყო გეოლოგი, სპელეოლოგი, გეოგრაფი და რომ მისხალ-მისხალ მისი აზრობითა თითქმის მთელი საქართველო, მისი ურთიერთობა ლევან გოთუასთან, გურამ თიკანაძესთან, გურამ რჩეულიშვილთან, გოგი ლომთათიძესთან თუ როგორ იცავდნენ კავკასიონს ლევან გოთუასთან ერთად. მერე, ომის შემდეგ, როგორ დააპატიმრეს და გადაასახლეს მიაკოტე ვანთან ერთად, თუ როგორ ზრდიდა მას (ლინას) წერილებით გადასახლებიდან და მერე ეს წერილები თვითონ წავიკითხე მათი გარდაცვალების შემდეგ და, ბოლოს, მიმანინა იმაზე, თუ რატომ არ უყვარს და არ შეიძლება უყვარდეს მიაკოტეს სტალინი...

სამი დღე ნესიერად არ მიძინია, მოსვენება დაეკარგე. ერთ მშენიერ დღეს კი, ლექციების შემდეგ, ფურცელაძის ქუჩაზე გაეჩნდი და სამკერდე ნიშანი მიაკოტეს თვალწინ ნაგვის ყუთში ჩავაგდე და ზედ კომკავშირის ბილეთიც მივაყლე, რომელიც ჯერ დაუბეი.

უნდა გენახათ მიაკოტეს გაოგნებული სახე, თინა მამიდას (ასე მივმართავდი მის მუელეს, თინა ავალიანს) რუსულად რაღაცა გადაუღალაპარაკა, მერე მე მომმართა:

- ეს ძალზე სახიფათო თამაშია, შვილო. ასეთი რამით არ თამაშობდე, გაუზრებულმა საქციელმა თავი არ წავაგებინოს, ამ კაცმა, ვისი პორტრეტაც ახლა სანაგვეში ჩააგდე, ბევრი ადამიანი იმსჯელებოდა სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც მრავალს გაუმწარა ცხოვრება; შენ არ იცი რა მთავომავლობა დატოვა ПТУ-ს სახით, საკუთარ დედამაზე გათქმევენებენ უარს, ვაჟკაცობას შეგილახვენ, ვინც ძვირფასია შენთვის, იმაზე დაგაწერიანებენ აუგს, იმიტომ კი არა, რომ ისინი რაღაცას უშავებენ მათ, შენში რომ პიროვნება მოკლან და მერე გინდ გიცხოვრია და გინდ არა. - ცოტა სული მოითქვა, მერე რაღაცა პანანინა აბი ჩაიღო ენის ქვეშ და განაგრძო: - პაპაშენის გაზრდილ შვილს მე სხვაგვარად ვერც წარმოვიდგენდი, მე განხე თმოგვზე და ვიცი ვინცა ხარ, ოღონდ!... - აქ მრავალმნიშვნელოვნად გაყურდა. ძალზე შემწიხებული ჩანდა.

თინა მამიდამ თავისი განთქმული ვაშლის ნამცხვარი მოგვართვა; ჩაიც დავლიეთ, მერე აღარაფერზე გვისაუბრია. კარებში რომ გამოვიდოდით, მიაკოტემ მეგობრულად ხელი გადამიხვია და მითხრა:

- სამკერდე ნიშანზე რა გითხრა, ამაზე ახლა არაფერს გადაგასახლებს, ოღონდ კომკავშირის ბილეთზე სიტყვა არ წამოგვდეს არავისთან, საკუთარ ძმასთანაც კი. მე ვიცი, რასაც გეუბნები, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ვერ გაუტლებ...

თურმე, მიაკოტეს შემწიხებული იყო ჩემს საქციელზე. მსჯელობის სანგად ჩემი კომკავშირის ბილეთი გამხდარიყო და ოთხშაბათ დღეს, როცა მე ფურცელაძეზე დავრეკე, მითხრეს, რომ კვირას მელიდობდა.

მე შაბათს მივედი. სახლში შეიდი მამაკაცი დამხვდა, ალაც მასხოვს, რას აღნიშნავდნენ. გაიხარა მიაკოტეს ხელი, ჩვენს სამი წელი არ გვენახა ერთმანეთი. რაღაცაზე ცხარე კამათი მომდინარეობდა. ჩემს დანახვაზე ყველა გაყურდა და მიაკოტეს შეხედეს, მან თავისკენ მიმიზდა, სახით სტუმრებისკენ შემომხატრილა და განაცხადა:

- ეს ჩვენი კაცია, რომელიც კომკავშირის ბილეთი აქ, ჩემ თვალწინ დახია. ასე რომ, ნუ დაიძაბები! მერე რუსულად რაღაცა უთხრა და ისევ მაგიდას მიუხდნენ. საუბრის თემა „გმირთა ვერამი“ გახლდათ, რომელიც ჩემი მოსვლის შემდეგ გავრძედა. ერთმა მიაკოტეს ჰკითხა: - „...კი მაგრამ, საქართველოს კუთხე-კუთხეული ასე ზედმინევენით როგორ იცი, რომ გმირთა ვერამში ასე ზუსტად გაქვს აღწერილი ყველა ბილიკი და ისე დახატული, თითქმის კაცი ამ ბილიკებზე იდგა და ისე სწერდა; ჩვენ კი ვიცით, რომ იქ, გადასახლებამდე დახედი და საიდან ამდენი ცნობები, ვინ მოგამოხდაო!“

- გავინყდებათ, რომ კოტე გეოლოგია, გეოგრაფი, თანაც, მთავსელოგი და, გინდა საჯარო ბიბლიოთეკაში მუდარხარ და გინდა კოტეს გვერდით. - შენ ის მითხარი, - არ ეშვებოდა ისევ ის კაცი, - რომ გინერია ლალატზე, - „ლალატი მარტო ის კი არ არის, მტრის მხარეზე რომ გადახვდა და სამშობლოს ებრძვი, არამედ ისიც, მტრის საქმეს რომ შეაღწევენ შენს ძალასა და სიცოცხლეს, სამშობლოს კი მოაკლბ...“


- სტალინი ხომ არ გყავს მხედველობაში? - შენ, ჩემო ძმაო, გულმომსანიც ყოფილხარ,

ჯერ არავის გაუგია ეს ნათქვამი ისე, როგორც მე ვიგულისხმე. ეს რომ „უღვამას“ წაეკითხა, მამინ გენახა, სად ვიქნებოდი.

მიაკოტეს ნათქვამით გათამამებულმა მრავალი კითხვა დაეწივს თითქმის ყველას, შეკითხვები ძალზედ თამამი იყო. ზერეულე პასუხით კმაყოფილი არ ვიყავი. ისინიც გამომინაურდნენ და მასსუხობდნენ ისე, სხვას რომ ასე უპასუხებდნენ. მოსმენილი პასუხებით ავლელი და თავზარდაცემულმა, უნებლიედ, შევძახე:

- ნეტამც შემოსულიყენენ გერმანელები საქართველოში, რომ ამოეწვიტათ ერთიანად კომუნისტები, რადგან ისინი ფაშისტებზე უარესნი ყოფილან!!!

ყველა იქ მყოფი დამუნჯდა. მომეჩვენა, რომ



ძალიან შემძინდნენ. ნუთიერი დუმილის შემდეგ მიაკოტემ, რატომღაც, ნახევარი ხმით წარმოთქვა:

- რას ამბობ, შვილო! ლმერთმა დაგვიფარა და ფაშისტები არ შემოეშვით საქართველოში თუ არა, ნახევარი ქართველებისა პარტიზანებად წავიდოდნენ, ნახევარი კი - გესტაპოში და ერთმანეთს ამოხოცავდნენ...

მე, გვიან, ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ, მივხვდი, რომ ისინი მართლმად იყვნენ. მათი მართალი ცხოვრება სამავალითო იყო მრავალი ადამიანისთვის და მე, ახლაც გზას მინათებენ... ეს ხალხი იყვნენ ისინი ვინაც თავის ტყავზე გამოსცადა მთელი უბედურება ომისა და მერე კატორღაში დაჰყვეს თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლები.

კატორღელები

„ჩვენ კატორღელები ვართ!“ - ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს.

ძალიან მაღე, ლინა გარდაიცვალა, თითქმის ჩემს გარშემო მყოფთ, ყველას მინა გამოგვეცალა ფეხქვეშ; ჩემი ყმული ზეცას სწვდებოდა. სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა მიაკოტე...

მასხოვს, ვახტანგ ბერიძე და მიაკოტე როგორ ტორიდენ ფურცელაძის 16-ში. მე ლექციებზე არ წავიდი სამი თუ ოთხი დღე, მაგრამ ვერც დაკრძალვაზე შევედი წასვლა. ნათელა ვარსამაშვილი - ჩემი უსახელოესი გერმანულის მასწავლებელი, ჩამეცია, თუ რატომ გავაცდიე ეს დღეები. როგორც ეტყობა, სახე ნამუშაო და ცრემლმორეული ჩავებტე საყვარელ მასწავლებელს. როცა მიხვნი გაიგო, თვითონაც ატირდა...

სანამ ამ ამბავს გავიგებდი, რამდენიმე თვით ადრე გამხდარი და განვალებული სტუმრობდა მიაკოტეს ლევან გოთუა. ვილაპარაკეთ მესხეთზე, პაპაჩემზე.

- გახსოვს, თმოგვის ისტორია რომ მოგიყვია? - მკითხა უცებ. მე მწერალი მქვია და გამიჭირდებოდა ასე გადმოვიცა ეს ამბავი... დასაწინა, ვერ მოვიცალე, ეგ ისტორია არ უნდა დაიკარგოს, შენ აუცილებლად გადაეცი თომაროშობას... ბოლოს, კოტესთან ერთად, თმოგვის ციხეზე ვიყავი, მერე ვედარც მთაში წავედით ერთად, დრო არ იყო... აი კოტეს კი შენ გაბარებ, მოუფრთხილდი; ეგ ის კაცია, რომელსაც არავითარი ბედნიერება არა სწამს და არც სწადია, უკეთუ, იგი სამშობლოს და ქვეყნის ხარჯზე ექნება...

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, ქ. სოჭში ერთ ქართულ ოჯახში მოვხვდი, დიდი ხანი არ ვიყავი სამშობლოში. კედელზე ქართულ კალენდარს მოგვარი თვალი და ხარბად დაეწივს ფურცელა. ვხედავ, ლევან გოთუას ნათქვამი კოტეზე აფორიზმად წერია: - „არავითარი ბედნიერება არცა მწამს...“ ეს ბოლო შეხვედრა იყო, მაგრამ მასზე ლეგენდების მიხრობელი ჯერ ცოცხალი იყო, მერე 77-ში, მიაკოტეც გარდაიცვალა, სისხლი მოჰნამალა, სამი დღე გახეთქილი ბრმა ნაწლავით დადიოდა და საკუთარ თავს ვერ მიხვდა, საქმეს ვერ უღალატა... კოტეს ერთგული ცოლი თინა ავალიანი შემომრჩა მათ საქმეების მოხრობელად...

- ახლა კოტე რომ ცოცხალი აღარაა, ჩემთვის სულ ერთია, - იტყვოდა და ერთ ამბავს მეორეს მიაყოლებდა ხოლმე:

- ... ომი რომ დამთავრდა, გავიხარეთ ყველამ

და სახლში მოსულ კოტეს გულუბრყვილოდ ვუთხარი: „რა კარგია, გავიხარევეთ, ყველაფერი უბედურება დამთავრდა. აღარც დაჭყრები იქნება და ხალხი დაისვენებს, ცოტას ამოვისუთქვითქვითქი...“ - დაჭყრები?... ახლა ნახე შენ, ის რაც იყო, მონაგონი იქნება, - შეეპასუხა კოტე...

46-ში დააპატიმრეს კოტე ჯავრიშვილი, იმავე დღეს - ლევან გოთუა, მათთან ერთად ასობით და ათასობით მამულოშვილი. აი ასე შეყარეს საპრობოლემო და მორჩა.

კოტე ჯავრიშვილი და ლევან გოთუა, ადამიანები, ვისაც ჩვენი სამშობლო, საქართველო უყვართ და რომელთაც მთელი სიმძაფრით, მთელი არსებით ემსახურებოდნენ; ისინი ვინც საწინააღმდეგო იწოდნენ, რათა თავიანთი კაცობით გაენათიბინათ ქვეყნის ბნელი ბილიკები და არ ჩიოდნენ არაფერზე, ახლა მის ლალატში სდებდნენ ბრალს.

- თქვენ გერმანელების შემოშვება გინდოდათ, საქართველოში? - ეტყვის დაკითხვაზე მყოფ კოტეს გამომძიებელი, რაზეც კოტე უპასუხებს:

- იქ, კავკასიონზე, ჩვენს მეტი არავინ იყო, ჩვენ ვიყავით და გერმანელები, რომ გვედგოდა, შემომეგება, ვინ დაგვიმბოდა? ჩვენ არ დაგვიმეორებია ძალ-ღონე მათ შესაჩერებლად, თბილისამდე მხოლოდ ორი თვითმფრინავი ჩამოფრინდა, დანარჩენები ჩიტებივით ჩამოფრინდა; არც ერთ ფრონტზე ასეთი წარმატება არ ჰქონია არავის და ჩვენ ვართ მოლაღატნი?

- ჩვენ შეგიშალეთ ხელი? - ურცხვად ეტყვის უზრდელი და თავგასული გამომძიებელი.

თბილისის საპრობოლემოდან გადასახლებაში უკრეს თავი. თბილისის სადგურში (მგონი ნავთილულში) ერთმანეთს შეხვდებოდნენ კოტე და ლევან გოთუა. იცით, რა იყო პირველი კითხვა, რომელთაც მიმართა ლევან გოთუამ კოტე ჯავრიშვილს?

- შენც გცემდნენ, კოტე?...

ეს პირუტყვები ამ დიდებულ ადამიანებს დაუნდობლად სცემდნენ... პირველად უტირია კოტეს თავისი ძმის მკერდზე, ეს იყო პირველი და უკანასკნელი, კოტე რომ გრძობებებს აჰყვა.

- ეცმა, კიდევ არაფერი, - ამბობდა მიაკოტე, - ამას კიდევ აიტანს ადამიანი, მაგაზე უარესი ავიტანია, მთაში, თოვზე გამოკიდებულეებს. აუტანელი იყო, როცა გამოვიძახებენ „დაკითხვაზე“ და დგახარ, როგორც უსული საგანი, დგახარ ორი საათი, სამი, ოთხი... ფეხები შენი აღარაა, განმარტავს არ შეიძლება, იმნამა დაუძახებენ ბადრავს და ეს მხეცი, იმდენად დაუნდობელია, თითქმის ძარღვებში სისხლის მაგივრად შხამი ჰქონდეს. მერე გიკითხავს ჩვენებას, რომელიც, ვითომც „ცოლმ“ ჩამოართვის. მე, შო, კარგად ვიცი ჩემი ცოლის ლექსიკა, მერე მავანის და მავანის... აი ეგ ჩემი სკოლის დირექტორის დაწერილია, - ვეუბნები და გაცოფებამდე მიჰყავს ჩემს „გულთმისანობას“ გამომძიებელი, ე.ი. მე მას ყველა ყალბი ჩვენებები გავუბიოთე.

არც მამინ და არც შემდეგ, მათ წინაშე თავი არ დაუმცირებია, კენესაც არ წამოსცდენია, აუგი არავისზე უთქვამს და ეს იყო საწინააღმდეგო იმისა, რომ მათ თვალში პატივისცემა დემსახურებინა. აქ არ ვიცი რამდენად, მაგრამ იქ, მრავალი თანამემამულის სიცოცხლე გადაარჩინა; მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც პიროვნებას და როგორც შახტის უფროსს.

იგი ძალიან ჰგავდა ფრანგ მსახიობს ჟან გაბენს, მისებრ მშობი იყო და სწორედ მის სიმშვიდეს გამოჰყავდა წყობილიდან გამომძიებელი და ზონის უფროსი. ოოი?! ეს ცალკე თემაა და ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

- მე კიდევ არაფერი, მაგრამ ლევანი როგორღა გაიმეტეს ამ არაკაცებმა, - იტყვის მერე კოტე. თუმცა ის, რისთვისაც უნდა დაეჭირათ და ბრალი წაყენებინათ, - ჩეისტებმა ვერაფერი გავიგეს და ეს იყო მათთვის საამაყო, რომ სიტყვა არავის წამოსცდენია ამ საქმეზე; თუ არა, დახვრება არ ასცდებოდათ...

ფრონტიდან თბილისში ჩამოსული კოტე ჯავრიშვილს სამეფო დანქსებულებაში, მგონი, სამხედრო კომისარიატში, კოსტავა ხვდებდა და, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, ალექსანდროვის ბაღში გავიდნენ სასაუბროდ. კოტე ჩქარობს, ცოლ-შვილი მისაწავად ნუთუებდა რჩება, მერე ფრონტზე უნდა დაბრუნდეს. დრო რომ არ დაკარგოს, ერთად მიდიან კოტესთან სახლში. გზად საქმიანი საუბარი მიდის:

- გერმანელები, კავკასიონს მოადგენენ! - დაიწყო კოსტავამ, - თადარიგია დასაჭერი. იმ შემთხვევაში თუ გერმანელები თბილისში შემოვიდნენ, ალბათ, ხალხს გაიხიზნავენ. ასევე გასახიზნა ჩვენი კულტურული წარსული, რაც ვერ ნაიღეს უნათო ფორდანიას მთავრობამ. ეს არის ხელნაწერები, ჩვენი წარსული და მეოხა, ის, რაც მეფის რუსეთს გადაურჩა - შოი მღვიმის მონასტრიდან რომ წაიღეს რვა ურემი სამეფო არქივი და დღესაც არ ვიცით, დაწვეს თუ სადაც მალავენ, ახლა თუ რუსებმა გაიხიზნეს ეს დოკუმენტაცია, მერე ექვთიმე თაყაიშვილი არ გვეყავს, რომ გავაყოლოთ, შესაძლოა, სადმე დაღუპეს და გადაყარონ, ან, სულაც, დაგვიზალონ და აღარ გამოგვიჩინონ. ამიტომ დავალებული მაქვს, გადმოვიცე - ქართველი პატრიოტიკის სახელით გელაპარაკები, - კავკასიონზე შენ და ლევან გოთუამ ნახოთ შესაფერისი გამოქვაბული, სადაც შეიძლება ამ ხელნაწერების გადამაღვა, თითქმის ორ ტონამდე ცვილი მზადა და ერთი ტონა პარაფინის სათადარიგო მარაგაც დეეს, ყუთები და ყველაფერი საიმედოდ ადგალოსან... ამ საქმეს, თქვენ ორ კაცს ვანდობთ, სხვა ვერ იტვირთავს ამ საქმეს.

გაგრძელება იქნება

საქართველოს ლიტერატურა

რობერტ ფიშერი საპატიმროში

მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონს ჭადრაკში ამერიკელ რობერტ ფიშერს საჭადრაკო სამყარო ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკედ თვლიდა. 1972 წელს მსოფლიო ჩემპიონ სპასკიზე გამარჯვების შემდეგ ამერიკაში იგი ნამდვილ გმირად გადაიქცა. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მას ტელეგრამით გამარჯვება მიულოცა და თეთრ სახლში ოფიციალურ მიღებაზე დაპატიჟა. ნებისმიერ ამერიკელს ასეთ პატივზე მხოლოდ ოცნება შეეძლო, მაგრამ არაპროვოზირებადმა ბობიმ ეს მიწვევა უარყო. ჯერ ერთი, მან შეიტყო, რომ ამ ვიზიტისათვის მას არაფერს გადაუხდებდნენ, მეორეც, ეს მას „ჭადრაკს მოაცდენდა.“ მან ასევე უარი თქვა მისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე მონაწილეობის მიღებაზე.



ბობი ფიშერი

ყალიონ მომარჯვებული ლიონის თურქი იყო მოკეცილი, რომელიც მეორე ხელით ფიგურებს ამოძრავებდა, — რომ მასურებული დაერწმუნებინა, რომ ყუთში არაფერ იყო, მისი ორივე კარი იღებოდა და კედლებში ჩატანებული სარკეები ყველას არწმუნებდა, რომ იგი ცარიელი იყო.

სინამდვილეში ამ სარკეების უკან რომელიმე ცნობილი მოჭადრაკე იწვა და ყუთის ზემოთ დაფარული ფიგურებს გადაადგილებდა.

საჭადრაკო მანქანამ ტრიუმფით მოიარა მთელი ევროპა. ნაპოლეონმა, რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო, მოსურვამასთან შეხვედრა.

უკვე ნაგებულ მდგომარეობაში მყოფმა იმპერატორმა ცხენით არარეალური სვლა გააკეთა და თურქს გამომცდელი თვალთ შეხედა. თურქმა ცხენი აიღო, ისევე ძველ უჯრაზე დასვა და ახალ სვლას დაელოდა.

ნაპოლეონმა ცხენი ისევ იმ უჯრაზე დასვა, თურქმა — ცხენი ასე არ დადისო და ფიგურა ძველ ადგილზე დააბრუნა. ნაპოლეონმა მესამედ ცხენით ისევ არარეალური სვლა გააკეთა. მაშინ თურქმა ცხენი აიღო და დაფიდან მოისროლა.

გახარებული ნაპოლეონი მეგობრებს უყვებოდა, ფსიქოლოგიურად გაემარჯვე და ლიონის არსებასაც წონასწორობა დაეკარგინა. ნაპოლეონი იმ პარტიას როგორ მოიგებდა, მანქანაში ქვემოთ ცნობილი ავსტრიელი ოსტატი ალგაიერი იწვა.

კავშირის ნაკრების მწვრთნელი ედუარდ გუფელდი მოძრავი, იუმორით სავსე პიროვნება იყო, იგი თავის მოჭადრაკეებში ასეთ ეპიზოდებს იხსენებს: საბჭოთა მოჭადრაკეები (სმისლოვი, პოლუგავესკი, გელერი, კერესი, ტაიმანოვი, სავონი) ბრაზილიიდან ვბრუნდებოდით. თვითმფრინავი დაეშვა გვინეის დედაქალაქ კონაკრიში. სასტუმროს გვერდით, სადაც მოვთავსდით, დიდი ბაზარი იყო. ყველას გვინდოდა, რომ აფრიკის ცენტრიდან სამშობლოში შავი ხისგან დამზადებული სარიტუალო ნიღბები ჩამოგვეტანა. ფული ყველას ძალიან ცოტა გვექონდა, ამიტომ გუნდმა მოილაპარაკა და გადაწყვიტა ბაზარში მე გაგვეზავნე სავაჭროდ.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში, ყიდვა-გაყიდვა, თავისებური რიტუალია. ამ პროცესის დროს, ორივე მხარე, მყიდველიც და გამყიდველიც, სიამოვნებას ღებულობს. სავაჭრო დახლებში გაყიდვის დროს გამყიდველები ყვირილით მთავაზობდნენ საქონელს, გზას მიღობდნენ და მეუბნებოდნენ, მაგრამ მე მკაცრი და შეუვალი ვიყავი. ბოლოს ჩემი ყურადღება მიიპყრო მაღალმა ზანგმა, რომელიც ჩემთვის

სასურველ ნიღბებს ყიდდა.

მე ჩემი ჩიქორთული ინგლისურით მივმართე და ფასი ვიკითხე. ზანგმა სუფთა ინგლისურით მიპასუხა, რომ ჩემში ერთი ნახვით გრძობს მეგობარს და ამიტომ ნიღბებს ასდოლარად მომცემს. მეც ვუპასუხე, რომ მის მიმართ სიმპატიურად ვარ განწყობილი, ამიტომ ერთ კომპლექტში ერთ დოლარს გადავიხდი.

გამყიდველი ზანგი ამ სიტყვებზე შეხტა და გაკვირვებით შემომხედა. ვხედავ, რომ თქვენ ხელოვნებაში ერკვევით, ამიტომ — ორმოცდაათი დოლარი.

— ორი! მტკიცედ მივუგე მე. დაიწყო ვაჭრობა.

— ორმოცდახუთი!

— სამი!

— ორმოცი!

— ოთხი!

ამ სიტყვებით თან სასტუმროსკენ გავემართე. ვხედავ, ჩვენი მთელი გუნდი სასტუმროს წინ დგას და ღიმილით ჩემ პაექრობას უყურებს.

— ოცი!

— ხუთი! უწვევებ გამილი ხელის მტყვანს.

— თხუთმეტი!


უკვე სასტუმროს ეზოში შევდიოდი, როცა საბოლოოდ რვა დოლარზე შევთანხმდით. ყველა მოჭადრაკე, რომელიც ჩემთან ერთად იყო კონკურსში, მრავალი წლის შემდეგ უყურებდნენ ამ ნიღბებს და იგონებდნენ იმ უჩვეულო ვაჭრობას. ამ შემთხვევაში კი ვიმარჯვე, მაგრამ ერთხელ ნამდვილი ფიასკო მომივიდა:

ჩვენი გუნდის ტუნიში ყოფნის დროს, სალამოს სასიეროდ გამოსულეებს შემოგვხვდა ადგილობრივი მცხოვრები და შემომთავაზა მეყიდა ცხვრის ტყავი. ეს რომ ცხვრის ტყავი იყო, ამას ვიჭყვი არ შემეძარვია, რადგან მისი სუნი მთელი ცხოვრება თან დამყვება. მე უთხარი, რომ ცხვრის ტყავი არ მჭირდება, მაგრამ ვაჭარი არ მომეშვა და მთელი გზა მომყვებოდა. ყველას ტყავის საშინელი სუნი გვანუხებდა. ბოლოს, რაკი ვერ მოვიცილე, ვკითხე — რა ღირს თქვენი ცხვრის ტყავი?!

— ორმოცდაათი დინარი!

— ერთი! მივუგე მე.

ვერ მოვასწარი სიტყვის თქმა, მან მომახურა მხრებზე ის აქოთებული ტყავი და მომძახა: „შევთანხმდით!“



ედუარდ გუფელდი

საჭადრაკო მანქანა და ნაპოლეონი

XVIII საუკუნეში გამოგონებულმა კემპელენმა შექმნა საჭადრაკო მანქანა, რომელიც ძლიერ მოჭადრაკეებს ამარცხებდა. ეს იყო დიდი ყუთი, რომლის თავზე ცალ ხელში

ედუარდ გუფელდი — ბაზარში

ჭადრაკში საერთაშორისო დიდოსტატი, მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელი, საბჭოთა

ქველი გახეთქილია

გუშინ-ნინ, ამ თვის 25, გარდაიცვალა მეორე გილდიის ვაჭარი ეგნატე სოლომონის ძე მიქელაძე, რომელსაც სამშაბათს, ამ თვის 29, დაასაფლავებენ. განსვენებულმა სიკვდილის ჟამს უანდერძა: 1) 500 მანათი ახალქალაქის მაზრის ვარძიის მონასტერს ხიდის გასაკეთებლად, 2) ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს 100 მ., 3) დედუბის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელს — 100 მ., 4) ავლაბრის წმ. მარინეს სამრევლო სკოლას — 100 მ. და) ამაღლების სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელს — 100 მ. სულ საქველმოქმედო საქმეთათვის გადასდო 900 მ.

„ივერია“, 1891 წ. N228

ახალი ამბავი

29 ოქტომბერს ტფილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ტფილისის მოქალაქე ეგნატე სოლომონის ძე მიქელაძე დაასაფლავეს, რომელმაც ქართულ დაწესებულებათა სასარგებლოდ 900 მ. უანდერძა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველს კაცს საზოგადო საქმისთვის რამე შეენიოს. განსვენებული ეგნატე სოლომონის ძე მიქელაძე ბაზაზი იყო, მუადის გამყიდველი. განსვენებული დასაფლავებამდე წინა დღის წესი შეასრულა ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ქართულად ქართულად დასაფლავებით. წინაზე დაესწრო სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი, რამდენიმე მასწავლებელი და მონაწილეები. განსვენებულის გვამს პატივი სცეს და ავლაბრის აღმართამდე მონაწილეები გააყოლეს. განსვენებული ეგნატე მიქელაძე ახალქალაქის მაზრელია, სოფელ ქილდიდგან, ძველი მესხი. სიცოცხლეში ფრიად მონაწილეობდა იყო, რომ რუსთაველი შოთა რუსთაველისთვის ძეგლი დაედგა, ამის გამო მინერ-მონერაცა ჰქონია გამართული, მაგრამ ვეღარ დასცალდა.

„ივერია“, 1891 წ. N231

ფოლკლორი

ღვდელზე და ფოფოღიაზე

ღვდელი და ფოფოღია გზად მიდიოდნენ მოკეთესთან სტუმრად. გზად ერთ მდინარეს მიადგნენ, მაგრამ მდინარეში გასვლას ვერ ჰბედავდნენ, ისე ეშინოდათ ორივეს წყლისა.

ამ დროს ერთმა მგზავრმა გამოიარა, მოვიდა მდინარესთან, ფეხთ გაიხადა, აინია შარვლის ტოტები და მდინარეში გასვლას აპირებდა.

ღვდელმა ამ მგზავრს ჰკითხა:

— არ გეშინიან ამოდენა მდინარეში გასვლისა?

— რისა უნდა მეშინოდეს, ეს ჩემთვის პატარა ლეღაო. საერთოდ კი, მე ქვეყანაზე არაფრისა არ მეშინიან, გარდა ხობობისა, რომელიც ერთბაშად წინ ამიფრინდება და „ფრრრს“ დაიძახებსო.

მაგას თუ მართლს ამბობ და არ სტყუი, გაღმა გაგვიყვანე, — შენს თავს უფალს შევავედრებო.

— ჯერ გასაყვანი ფული მომეცი და მერე შემავედრე უფალსაო. გაყვანი რატომ არ გაგვიყვან, მაგას როგორ დაგზარდებო.

ღვდელმაც მისცა ფული.

მგზავრმა ჯერ ფოფოღია აიყვანა ხელში, გაიყვანა გაღმა და დაუწყო მას ხვეწნა-კოცნა. ღვდელმა რომ ამ ბლლაძუნს შეჰხედა, სიბრაზით წვერსა იწინიდა და რაღა ექნა, არ იცოდა. ბოლოს მოაგონდა ამ მგზავრის ნაამბობი, რომ მას არაფრისა ეშინოდა, გარდა ხობობის აფრენის დროს შექმნილი ხმაურისა და გაღმიდან-გამოღმა დაიწყო ყვირილი: — „ფრრრუ, ფრრრუ!“ — არიქა, ხობობი აფრინდაო, მაგრამ მგზავრი თავისას არ იშლიდა.

ღვდელი გაღმა ნაპირზე იდგა და „ფრრრუს“ ძახილს თავს არ ანებებდა.

როგორც სჩანს, მგზავრს მობებრდა

ღვდლის ბლავილი და გამოღმიდან გასძახა:

— შენ თავიდან უნდა გეფიქრა და ფოფოღია ჩემთვის არ გაგეტანებია, თორემ ახლა „ფრრრს“ ძახილი აღარას გიშველისო!

თქმულეა პირაქლეა და ერთი ფშაველ ვაჭკაცვა

ერთ-ერთი ომის დროს თურქები ძალზე დაზარალებულნი ქართველი ჯარისაგან და არდაგანის წყალი (მტკვარი) მათის სისხლით მთლად წითლად შეღებულნი იყვნენ. გამწარებულმა თურქების ერთმა ბელადმა გამოსჭრა ადიდებული არდაგანის წყალი თავის ცხენით და ის იყო ერეკლე მეფეს ეპარებოდა და მოულოდნელად უნდა დასხმოდა თავს, რომ ეს შენიშნა მისმა ერთ-ერთმა თანამხლებელმა ფშაველმა. მივარდა თურქ ბელადს, მოუქნია ხმალი ძლიერად და ცხენ-კაცი შუა გაჰკვეთა.

გამარჯვებული ფშაველი ეახლა ერეკლეს, მიართვა თავისი სისხლიანი ხმალი და შესძახა: — მეფემ იცოცხლოსო.

ერეკლემ უთხრა: — რით დაგაჯილდოვოვ?

ფშაველმა მუხლი მოიყარა და მოახსენა: — თქვენის ხმლითაო ერეკლემ მაშინვე მოიხსნა ხმალი და გადაჰკიდა, მაგრამ მესამე დღეს ეს ფშაველი ეახლა მეფესა, დაუჩოქა და შემუღარა: — მეფე, დაიბრუნე თქვენი ხმალი, მე უჭკუობით მომივიდა, რომ ხმალი გთხოვეთ. თქვენა ხართ მხოლოდ ამ ხმლის ტარების ღირსი და მაპატიეთ ჩემი შეცდომაო.

მეფე ჯერ უარობდა, მაგრამ შემდეგ შეივედრა მისი მუდარა, ხმალი დაიბრუნა და იგი სხვა რაიმეთი დააჯილდოვა.

მთქმელი სიმონ პავლეს ძე

თუშანიშვილი, 63 წლის, ჩასწერა გ. ასატაშვილმა 1948 წელს ადიგენის რაიონის სოფელ უდგეში. საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, საინვენტარო ნ. N2500

ღურმიზხან ბერიძე

ისევ ჩამთვლიმა, ჩამეძინა, მოდის ზამთარი, ისევ მომსმის შორეული, შენი ხმა ლბილი, ო, ეს ფიქრები უცაბედი და მინავლული... ბილიკთან ვდგავარ, გითვალთვალე, — როდის ჩაივლი... ისევ შრიალეხს მხრებგაშლილი ტყემლის ძველი ხე, ასე მგონია, გუშინ გითხარ ჩემი სათქმელი, ვერ დავივიწყე ის დღე, როცა ხელი შეგახე, ვდგავარ და გიციქერ, ნახვედი და აღარ დაბრუნდი. ცაც ისე დარჩა როგორც იყო მთის თავზე მდგარი, ქარმაც წაიღო, ნამოხვეტა რაც რომ თეხადა, ო, ღმერთო ჩემო, როგორ სწრაფად გასულა ეს დღეც, თვალის გახელას ვეღარ ვასწრებ, — უკვე დაღამდა.

თამაზ ჩიკვაძე



მატიანი

აკადემიოსი მარიკა ლორთქიფანიძე ახალციხის სახელმწიფო მუზეუმში. სურათი მოგვანოდა ვალვა ტაბატაძე

მოსახლეობის საყურადღებო!

ძვირფასო მეგობრებო, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია გთხოვთ მოგვანოდოთ თქვენს ოჯახებში შემონახული ძველი სურათები – გადაღებული 60-70 წლის წინ, სასურველია განსაკუთრებით ძველი სურათების, მათ შორის ისტორიული ძეგლების, სოფლების ხედების, შენობა-ნაგებობების და პეიზაჟების ელექტრონული ვერსიების მონოდება.

სურათები დაიბეჭდება ჩვენის გაზეთის ფურცლებზე.

გამოგზავნილ სურათებზე გთხოვთ მიუთითოთ გადაღების წელი, ვინ ან რა არის ასახული მასზე და გამოგზავნის ვინაობა.

რედაქცია

უოკლორი

ვაჟკაცებსა გულოვნებსა,
ხანჯლები აქთ ხორასნისა,
თათრებს მტრულად უხვდებიან,
მოყვარესთან ჭამენ პურსა.

მეზობლები წაიჩხუბნენ,
ქიტუშა და ჟენიაო,
– ქალო, წყევლა თუ არ იცი,
გაიჩუმე პირიაო!

სად მიიჩქარი ანტონავ,
ჰაი, გიდი, ღმერთმა შეგვყვარა,
ნეტავ, მაშინ რას ფიქრობდი,
ქალი, რომ წამოგყვანა,
შინ სახლის კარი გაგელო,
ჩემი კი გამომეჯარა.
– ნულარ ტრაბახო სანყალო,
ხომ გითხარ, ღმერთმა შეგვყვარა,
ისე გაგიხდი საქმესა,
რომ დავცინოდეს ქვეყანა.

გენაცვალე, ქალო-რძალო,
ყირმიზ ყელსა, შავ თვალშია,
შენთვის მოველ ბუზმარიდან,
არც ჯირითსა, არც ჯვარშია.

დამივარდა ჩემი ლურჯა,
შაშვის მთაზე, ზედ თავშია,
გადავადე ლელე-ხრამში,
დავრჩი მარტო მე გზაშია.

ღმერთმა დალახვროს დონლუზა,
ნერვებზე ძლიერ ამშალა,
მითამ მის ვაჟკაცობამა,
კინალამ დიდ შარს შემყარა.

ანტონას ცოლი მე მწყევლის,
დონლუზამ ფული მაშპარა,
ძეხვი-აპოხტიც წაილო,
თავის ამბარში ჩაყარა.

ბევრჯერ ვეხვეწე დონლუზას,
მეც შემახვედრე პატარა,
ანტონა გამოგვივარდა,
კინალამ ცოცხლად შეგვჭამა.

ცოლმა გამგზავნა ქალაქსა, –
დიდი თოვლია, ზამთარი,
ლელეში მგელი შამახვდა,
დიდი ქოფაკის სადარი.
კბილებსა აკრაჭუნებდა,
როგორც მშიერი აფთარი,
არც ჯავა მქვანდა, არც ცული,
არც ბებუთი და ხანჯალი,
მოვბრუნდი, გამოვიქეცი,
როგორც დამფრთხალი თათარი.

ალარც ღვინო მაქვს, არაყიც,
რომ გადამეკრა დილითა,
ჩემი ნახალი მყოფინდა,
შემას ვზიდამდი ვირითა.
მო, ვიქეიფოთ ცოტათი,
ცოლს როდი მოგთხოვ, რისთვისინა?
ქალი, რო შინ მოვიყვანო,
ხალხი გამლანძღავს პირითა,
მარა, სოფელსა ვინ ჰკითხამს?
ყადიც მე ვარ და გზირიცა,
ხუცესს შაურსაც არ მივცემ,
კარდაკარ დარბის, ყვირისა,
ფოფოლიამაც დამწყევლა
ჭირიც მათ, ცოტა ღვინიცა!

თქვენი ჭირიმე ხვანელნო,
დაგყურებთ შაშის წვერითა,
ეჰ, კილო გამაგებინა
თქვენი ლამაზი, ტკბილი ხმა.

ბუზმარეთს გაემართებით,
ლილინითა და მღერითა
წინ გიორგაი მიგედიოთ,
მესხეთის დროშის ჭერითა.

უკანა მოგდევთ მოხუცნი,
თეთრი თმით, თეთრი წვერითა,
ქალებიც აიყოლიეთ,
ლოცვით და პირჯვრის წერითა.

შაშვის მთაზე ბინას დავდგამ,
მუხისას და ფიჭვისასა,
სტუმრად შინ არ დავაბატიყებ
კაცს გამტეხავს პირისასა,
მხოლოდ იმას ვაქეიფებ
სიტყვას თქმოდეს ფიცისასა,
პურს შევჭამთ და ღვინოს დავლეეთ,
ღმერთს ვახსენებთ დილისასა.

მთქმელი სიმონ კაჭკაჭიშვილი, 75 წლის
ადიგენი, სოფ. არალი.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა
2019 წელს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმოწერა

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველებო, შეგახსენებთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საბანკო რეკვიზიტებს და გთხოვთ უახლოეს პერიოდში მოახდინოთ როგორც გასული წლის დავალიანების, ასევე მიმდინარე წლის ხელმოწერის ღირებულების გადმოირიცხვები.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
დ.ასპინძა, თამარის ქ.№3
ს/კ 223100908
„ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი“
ბანკის კოდი: 220101451
ან.№ GE72LBO113115795007000

რედაქცია

ქართული

ქოროლი ბრმის შვილს ნიშნავს.
სოფლის აღმოსავლეთით რომ მთაა,
ქოროლის მთას ეძახიან. იქაა ქოროლის
ციხე. ქოროლის ციხეზე არის ამოკვეთილი
აუზი წყლისთვის. აქვეა დიდი კლდის
ლოდი, რომელზედაც მიმაგრებულია რგოლი.
ალბათ, ზედ ცხენს აბამდა ქოროლი.
ერთხელ მიდის თურმე ქოროლი. ხე-
დავს, რომ მწყემსი ცხვარს აძოვებს.
– ერთი მომეციო, – უთქვამს ქო-
როლი.
– ვინა ხარო! – მწყემსს უკითხავს.
– ქოროლი ვარო, – უპასუხა ქო-
როლი.
– აი, ამ კომბალს ხომ ხედავ, სუ ამით
გცემო.
ნასულა ქოროლი. კაცი გამოუგზავ-
ნია და შეუთვლია: – ქოროლიმ შემო-
გითვალა, ერთი ცხვარი გამოგიგზავნეო.
– თეთრი თუ შავი? – მაშინვე
უკითხავს მწყემსს.
– სულ ერთიაო, – მხოლოდ გამა-
ტანეო.



მასაც გაუტანებია ერთი ცხვარი.
– ჩემი სახლის ხსენებით უფრო მეტი
კეთდება, ვიდრე ჩემი მისვლითო, – უთქ-
ვამს ქოროლი. – მწყემსმა არ დაიჯერა,
როცა პირადად მივედი, რომ მე ქოროლი
ვიყავი, ჩემი სახელი რომ უხსენეს, მაშინ კი
უარი აღარ უთქვამსო.
მთქმელი ნიკოლოზ ლუბარასაძის კი
ლეიკიშვილი, 90 წლის, სოფელი თოკი,
ასპინძის რაიონი. ჩაიწერა სიმონ ჯაფარიძემ
1965 წელს
ოსუ ფა.3894

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ღამუხანაზები:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასაგარეო მინისტროს მიერ 1998 წლის 15
ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული
ურუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქციის ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე,
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს.
„საარის“ სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი,
თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meshketi@gmail.com
lit – meshketi@yahoo.com

გაზეთის რედაქცია სარგებ-
ლობს თავისუფალი პრესის
პრინციპებით და ავტორის
მოსაზრებებსა და გამონათ-
ქვამებზე პასუხს არ აგებს

